# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 4 ოქტომბერი 2008 №229 (3453) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვიდა სიტყვა, დახვდა სხვა
## ასათიანი კუპერის ხასიათს დაეჯახა



მას მერე, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის საკვიპროსო-საბულგარეთო სია გამოქვეყნდა და მასში კიევის „დინამოს“ მცველის, მალხაზ ასათიანის გვარი ვერ ამოვიკითხეთ, ბუნებრივად გაჩნდა გაკვირვება ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის არყოფნის გამო. ასევე ბუნებრივად და ლოგიკურად გაჩნდა მოსაზრება, რომ ასათიანის ნაკრებს მიღმა დატოვება მის მიერ ირლანდიასთან მატჩის მერე შეკრებიდან გაშვების თხოვნას მოჰყვა.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ირლანდიასთან მატჩის მერე — იტალიასთან შეხვედრამდე ოთხი დღით ადრე — ასათიანმა კუპერს კლუბში გაშვება სთხოვა, თუკი მწვრთნელი მას უდინეში თამაშს არ უპირებდა.

როგორც მოგახსენეთ, ასათიანის ნაკრებს მიღმა დატოვების ერთადერთ ლოგიკურ მიზეზად სწორედ ის ამბავი მოჩანდა, რაკი ფეხბურთელს არც ტრავმა აწუხებს და ურიგო ფორმაშიც არ არის. თავად მწვრთნელს კი სიის გამოქვეყნებისას ნაკრებში გამოძახებულ-არგამოძახებულთა თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე დაიდო კუპერის ოფიციალური განცხადება, რომელშიც არგენტინელი მწვრთნელი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ვფიქრობთ, გასაგებად მიანიშნებს, რომ მალხაზ ასათიანის კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის გამოუძახებლობის მიზეზი სწორედ ის იყო, რაც ვივარაუდეთ.

კუპერის განცხადებაში ნათქვამია:

*ირლანდიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ მალხაზ ასათიანი ჩემთან მოვიდა და მითხრა: „მაძლევ თუ არა გარანტიას, რომ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშებ“...*

*ვუპასუხე, რომ ასეთ გარანტიას ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ მივცემ და მსგავს პირობას არც ერთი მწვრთნელი არ იძლევა.*

*მან მიპასუხა: „თუ ასეა, მირჩევნია ჩემ კლუბში დავბრუნდე და იქ ვივარჯიშო“.*

*ის ზრდასრული ადამიანია და არჩევანის უფლება გამოიყენა. ასეთ შემთხვევაში მე ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ შევაჩერებ.*

*მალხაზ ასათიანმა საქართველოს ეროვნული ნაკრები ასე დატოვა.*

*ოფიციალურად ვაცხადებ, რომ როცა მწვრთნელი ეროვნული გუნდის შეკრებაზე იძახებს ფეხბურთელს, ის მოთამაშე გამოძახების დღიდან შეკრების დასრულებამდე გუნდისთვის საჭიროა. თუმცა, საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახება ნაკრებში თამაშის გარანტია არაა — მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელი წყვეტს, ვინ ითამაშებს კონკრეტულ შეხვედრაში და ვინ — არა.*

*მალხაზ ასათიანმა ნაკრებში დარჩენას და ვარჯიშს კლუბში დაბრუნება ამჯობინა. სწორედ ამ ფორმით დატოვა მან საქართველოს ეროვნული ნაკრები.*

ერთს დავძენთ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ეროვნული გუნდის სხვა მწვრთნელებისთვისაც მიუმართავთ იმ თხოვნით, რითაც ასათიანმა კუპერს მიმართა.



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა



# კალაძის მყესები: ესლა გვაკლდა...

**გუშინწინდელი** საუეფასთასო მატჩი, „ციურიხი“ — „მილანი“ ქართველი კახა კალაძისთვის ნავსიანი გამოდგა. კახამ სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო თამაში, მაგრამ ტრავმა მიიღო და 30-ე წუთზე კარლო ანჩელოტიმ პაოლო მალდინით შეცვალა.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანს მუხლის მყესები გაწყვეტია. ჯერ საბოლოოდ არ უთქვამთ რამდენხნიანი, მაგრამ სავარაუდოდ, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება.

შესაბამისად, 11 ოქტომბერს კვიპროსთან და 15-ში ბულგარეთთან კალაძის ნაკრებში თამაში პრაქტიკულად გამოირიცხა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ექტორ რაულ კუპერმა მალხაზ ასათიანი სანაკრებოდ არ გამოიძახა, დაცვაში უსერიოზულესი დანაკლისი გვაქვს.

დიდი შანსია, კუპერმა ნაკრების კაპიტნის ნაცვლად სხვა ფეხბურთელს უხმოს, თუმც არგენტინელს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება.

თავად კალაძემ კი თქვა: „ექიმების გადაწყვეტილებას ველოდები. არ ვიცი, ვითამაშებ ნაკრებში თუ ვერა. საქართველოს უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის, რადგან პირველი ორი შეხვედრა წავაგეთ და ახლა შინ ექვსი ქულის აღებას ვგეგმავთ“.

და რადგან უეფას თასი ვახსენეთ, აქვე ამ ტურნირში მოთამაშე სხვა ქართველებზეც ვთქვათ: „მილანის“ გარდა, ჯგუფურ ეტაპზე ლევან კობიაშვილ-ლევან ყენიას „შალკეც“ ითამაშებს — „ხუმარებმა“ კვიპროსულ აპოელ-ს სტუმრად რომ 4:1 სძლიეს, შინ თავი დიდად არ მოუკლავთ და 1:1-ზე გაეყარნენ.

ამ მატჩში ყენიას ოფიციალური დებიუტი შედგა „შალკეს“ ძირითად გუნდში. 17 წლის ქართველი 64-ე წუთზე ჯერალდ ასამოას ნაცვლად შეიყვანეს მინდორზე. ლევანი სულ მოძრაობაში იყო, ძალიან მონდომებული გახლდათ და სულ ბურთს ითხოვდა. ერთხელ საჯარიმოშიც შეიჭრა კობიაშვილის პასით, თუმც დარტყმა ან ჩაწოდება ვერ გამოუვიდა. კობიმ კი ბოლო 11 წუთი ითამაშა.

რაც შეეხება ნუკრი მანჩხავა-აკაკი ხუბუტიას „კაუნასს“, იტალიაში „სამპდორიასთან“ 0:5 ჰქონდა წაგებული და აბა, შინ რა უნდა ექნა... ამჯერად 1:2 წააგეს. ხუბუტია მოედანზე არ გამოჩენილა. მანჩხავამ კი ბოლო 20 წუთი ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# ვაკელო ხომ არა?

**ამჟამად** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ლიდერი თბილისის „ლოკომოტივია“. ამ გუნდს ეს სახელწოდება 1936 წლის მერე მოჰყვება, თუმცა ერთი ხანობა „მერანიც“ ერქვა.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივი“ ვაკის გუნდია და საშინაო მატჩებსაც ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ მართავს. როგორც შევიტყვეთ, კლუბის ხელმძღვანელებს სურთ, სახელში ცვლილება შეიტანონ, ისე რომ მასში ვაკეც ერიოს და ლოკომოტივიც დარჩეს.

**ნუკრი ლოლაძე**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

მეოთხედფინალის წილისყრა

ლოკომოტივი — სიონი
ზესტაფონი — დინამო
ვიტ ჯორჯია — მერანი
ოლიმპი — ამერი

# სათასო ტრადიცია: ზესტაფონი და დინამო ერთმანეთს ვერ აცდნენ

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალის წილისყრა ჩატარდა. გათამაშებას შემორჩენილი რვა გუნდიდან ექვსი უმაღლესლიგელია და ორიც — პირველლიგელი.

პროცედურის დაწყებამდე უმაღლესლიგელთა წარმომადგენლები, ბუნებრივია, მეტოქედ პირველლიგელებს ნატრობდნენ — ცხადია, ყველას მარტვილის „მერანთან“, ან „ამერს“ დაპირისპირებას ნატრობდა. არადა, რამდენიმე თვის წინ თასზე „ამერთან“ გადაყრას არავინ ისურვებდა, თუმცა ეს ცალკე ისტორიაა...

როგორც ბოლო წლებში ხდება, ამჯერადაც „ზესტაფონი“ და „დინამო“ ერთმანეთს გადაეყარნენ და, რა თქმა უნდა, მეოთხედფინალის ყველაზე ხმაურიანი წყვილი ეს არის.

ორივე გუნდის წარმომადგენლებმა თქვეს, თასზე ერთმანეთთან შეხვედრა ტრადიციად გვექცა და შანსები თანაბარიაო.

ძალიან საინტერესო მატჩები გველის „ლოკომოტივისა“ და „სიონის“ დაპირისპირებაში — ორივე გუნდი ახალ სეზონში საკმაოდ მოღონიერდა, „ლოკომოტივი“ სულაც ჩემპიონატს ლიდერობს, „სიონი“ ჯერ ვერ ყოჩაღობს, მაგრამ ამბიცია რომ აქვს, საკამათო არ არის. ბოლნისელებმა თქვეს, უკმაყოფილონი არ ვართ, კარგი რძოლები იქნებაო. არც თბილისელები იყვნენ, განხიბლულნი.



„დინამოსა“ და „ზესტაფონის“ მატჩებს დაძაბულობა იშვიათად აკლია

ყველაზე მეტად წილისყრით კმაყოფილი „ვიტ ჯორჯია“ დარჩა — მას მარტვილის „მერანი“ ერგო. ვიტელებს საქართველოს თასი არასოდეს მოუგიათ, სათასო ბრძოლას დიდი გულისყურითაც არასოდეს ეკიდებოდნენ, ახლა კი ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსი აქვთ.

რუსთავის „ოლიმპს“ მეტოქედ პირველლიგელი „ამერი“ ერგო, რომელიც ბოლო სამი გათამაშების ფინალისტი და თასის ორგზის მომგებია. „ოლიმპის“ მწვრთნელმა მალხაზ ლაცაბიძემ თქვა, „ამერი“ სათასო გუნდია და იოლი გასეირნება არ გვექნებაო. ეს დაპირისპირება იმითაც არის საინტერესო, რომ რუსთავულ გუნდში რამდენიმე ყოფილი ამერელი თამაშობს.

შეხვედრები 12-26 ნოემბერს ჩატარდება, წყვილში პირველები პირველ მატჩებს შინ გამართავენ.

მატჩები 14 საათზე დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

### ჰოლანდია

ერედივიზიონი

ალკმაარი 6:0 სპარტა

იუპილერლიგა

კამბური 3:2 ჰაარლემი
ემენი 2:1 ომნივორლდი
ექსელსიორი 2:1 დენ ბოსხი
ჰელმონდი 2:2 სიტარდი
მაასტრიხტი 1:2 ვეენდამი
როზენდალი 1:4 ვენლო
ვალვაიკი 3:1 აპელდორნი
ტელსტარი 1:1 ეინდჰოვენი
ოსი 0:0 დორდრეხტი

### გერმანია

I ბუნდესლიგა

არმინია 1:2 კარლსრუე

II ბუნდესლიგა

ფრაიბურგი 2:0 დუისბურგი
ფრანკფურტი 0:3 მიუნხენი
ობერჰაუზენი 2:1 აუგსბურგი

III ბუნდესლიგა

შტუტგარტი (მ) 1:2 პადერბორნი
ვუპერტალი 0:1 კარლ ცაისი

### ჩეხეთი

II ლიგა

დუკლა 1:0 ოლომოუცი
ჟიჰლავა 1:0 მოსტი

### ინგლისი

I ლიგა

ჰარტლპული 3:3 სუინდონი
სტოკპორტი 3:1 ოლდემი

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა

ლოკომოტივი (პ) 3:2 ლოკომოტივი (ს)

### საფრანგეთი

II დივიზიონი

აიაჩო 1:2 ლანსი
ამიენი 0:2 ვანი
ანჟერი 0:0 ტრუა
გინგამი 2:1 კლერმონი
რეიმსი 1:4 დიჟონი
ტური 2:0 ბრესტი
ბულონი 2:1 შატორუ
მეცი 2:0 სედანი
მონპელიე 2:1 ბასტია

### ავსტრია

ბუნდესლიგა

რიდი 0:0 მატერსბურგი

ერსტე ლიგა

აუსტრია (ლ) 1:3 სტ პოლტენი
ვაკერი 2:1 ვაკლაბრუკი
ლეობენი 3:2 ლუშტენაუ
ზალცბურგი (მ) 3:4 აუსტრია (მ)
გრადიგი 3:2 გრატკორნი

### იტალია

სერია B

ბარი 1:0 მანტოვა

### რუმინეთი

I ლიგა

მედიასი 2:0 გლორია
პიტეშტი 1:1 უნივერსიტატია

### უნგრეთი

ბოსროდი ლიგა

შიოფოკი 0:1 ჰონვედი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

ბოჰემიანსი 2:1 ბრეი
ფინი 0:1 სტ პატრიკსი
დერი 1:1 სლიგო
გალვეი 3:2 კორკი
დუბლინი 1:0 დროჰედა

I დივიზიონი

კილდერი 1:2 ვექსფორდი
ლიმერიკი 1:1 ფინგალი
უოტერფორდი 0:0 ეთლოუნი
შელბურნი 1:0 მონაჰანი

### ბელგია

იუპილერლიგა

ანდერლეხტი 2:1 მუსკრონი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა

კონკორდია 3:2 ვოლენი

### უკრაინა

ვიშა ლიგა

არსენალი 0:1 დნიპრო
მეტალურგი (დ) 2:0 ილიჩევეცი

### პოლონეთი

I ლიგა

იაგელონია 2:2 ვროცლავი
არკა 0:1 გდანსკი
კრაკოვია 0:1 პოლონია

# სააკაშვილმა გურულს მიწა ჩამოართვა

## ოღონდ, ეს ის არ გეგონოთ

**გია გურულის ვაჟი, სანდრო ორიოდ კვირის წინ უკრაინულ ლვოვის „კარპატიში“ რომ ჩაირიცხა, გეცოდინებათ. გურული ახლა ფიფას აგენტია და ამასწინათ ლვოვში ჩავიდა შვილის მოსანახულებლად, რაც „კარპატის“ ოფიციალურ ვებგვერდს უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ინტერვიუც ჩამოართვა...**



— ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გაჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიწის ნაკვეთი ჩამოგართვათ...

— ასეთი ინფორმაცია მართლაც გავრცელდა. საქართველოდან საფრანგეთში ნათესავებიც მირეკავდნენ, რათა გაეგოთ, რატომ ჩამომართვა მიწა სააკაშვილმა. ფიქრიც დავიწყე — საქართველოში მიწა სად მქონდა, რადგან არც ბაბუას და არც ბებიას მსგავსი ჩემთვის არ დაუტოვებიათ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ არსებობს ჩემი სახელმოგვარე ბიზნესმენი — გია გურული და პრეზიდენტს სწორედ მისთვის ჩამოურთმევია მიწის ნაკვეთი.

— თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებმა დახმარებაც გაგიწიეს. საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის ასისტენტად მუშაობისას ლვოვში უკრაინასთან ჩატარებული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ფრანგული ენის მცოდნე არ აღმოჩნდა...

— რუსულად ძალიან ქართული აქცენტით ვსაუბრობ. მაშინ ჟურნალისტები მართლაც დამეხმარნენ. მე ფრანგულიდან ქართულად ვთარგმნიდი, ხოლო ისინი ქართულიდან — რუსულად. იქ ერთი სახალისო შემთხვევაც მოხდა. კერძოდ, ოლეგ ბლოხინს ჰკითხეს, რატომ ითამაშა მისმა გუნდმა არადამაჯერებლად. მან უპასუხა, რომ ამის მიზეზი მოედნის ცუდი საფარი იყო. მე კი ჟირესს ბლოხინის ნათქვამი ასე ვუთარგმნე: „ცუდი მოცეკვავე“. ცხადია, ვიხუმრე.

— ფეხბურთელობისას ბლოხინის წინააღმდეგ თამაში მოგიწიათ?

— სამწუხაროდ, არა. მართალია, 1983-1990 წლებში თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, მაგრამ მას მოედანზე არ შევხვედრივარ.

— საფრანგეთში როგორ მოხვდით?

— პოლონეთის გავლით. 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის „დინამოსთან“ ერთად პოლონეთში, ა„კატოვეცის“ წინააღმდეგ ორი თამაში ჩავატარე. პოლონელებს ჩემი დატოვება სურდათ, მაგრამ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა განაცხადა, ჯერ საქართველოს ჩემპიონატი უნდა მოვიგოთო. თბილისში რომ დავბრუნდით, გაზაფხულზე მენისკი დავიზიანე. ცოტა ხანში „კატოვიცეს“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და „დინამოს“ ჩემს ტრანსფერზე შეუთანხმდნენ. პოლონეთში ჩასულმა ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ რამდენიმე თვეში თოვლში ვითამაშეთ და ტრავმა გამიმიზეზდა. ამის გამო, კლუბის პრეზიდენტმა მარიან ჯუროვიჩმა მითხრა, მე ბიზნესმენი ვარ და როდესაც ფეხბურთელს ვყიდულობ, ვცდილობ, ის სარფიანად გავყიდო, თუმცა შენ უნდა იმკურნალო, რათა ჩვენთან დარჩეო. როცა ადამიანი ასე გენდობა, მისი იმედების გასამართლებლად მაქსიმუმი უნდა გააკეთო. გამოჯანმრთელების შემდეგ, დიდი მონდომებით ვემზადებოდი — ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ, პოლონეთის თასი და სუპერთასი მოვიგეთ. მოგვიანებით საფრანგეთიდან მენეჯერებიც ჩამოვიდნენ ჩემს სანახავად და...

— ისინი „ლე ავრის“ მენეჯერები იყვნენ?

— დიახ. მკითხეს, მსურდა თუ არა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში. გამეცინა და ვუპასუხე, ეს ვის არ ენდომება-მეთქი. მაშინ, ფრანგული კლუბებიდან მხოლოდ „მონაკო“, „მარსელი“ და პსჟ ვიცოდი. „ლე ავრზე“ კი არაფერი გამეგო. ლე ავრში სამი დღით ჩავედი, შემდეგ კი საფრანგეთის ლიგის თასზე ვითამაშე. მაშინდელი წესებით, კლუბს ამ ტურნირზე ისეთი ფეხბურთელების გაყვანაც შეეძლო, რომელიც განაცხადში არ ჰყავდა. ის მატჩი მოვიგეთ და საგოლე პასი გავაკეთე. შეხვედრის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა რესტორანში დამპატიჟა და პირადი კონტრაქტიც იქვე გავაფორმე. ამის შემდეგ გასაფორმებელი მხოლოდ კლუბებს შორის შეთანხმება რჩებოდა.

— ჩანს, იოლად შეთანხმდნენ...

— საფრანგეთში ვისკი „ჯონი უოკერი“ შევიძინე და პოლონეთში წავიღე. „კატოვიცეს“ ხელმძღვანელობას რომ შევხედი, განვუცხადე, ან საფრანგეთში გამიშვით და ჩემგან ეს საჩუქარი მიიღეთ, ან კიდევ თბილისში ვბრუნდები-თქო. ამას კი ვამბობდი, მაგრამ თბილისში წასვლა ნამდვილად არ მინდოდა, რადგან იმ პერიოდში საქართველოში ომი იყო. კლუბის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მცა პატივი, საფრანგეთში გადასვლაში ხელი არ შემიშალა.

— საფრანგეთში ცხოვრება რატომ გადაწყვიტეთ?

— თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ საფრანგეთში გარკვეული ხნით დავრჩებოდი და შემდეგ სამშობლოში დავბრუნდებოდი. მოგვიანებით, ბავშვები წამოიზარდნენ და გადავწყვიტე, საქართველოში ჩასვლა მათ არ წაადგებოდათ.

— თქვენი შვილი „ლიონის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია?

— ლე ავრიდან ბულონში გადავედით და კარიერა სწორედ იქ დავასრულე. იმ პერიოდში, „ლიონის“ მენეჯერები ჩამოვიდნენ და შვილის მათ საფეხბურთო სკოლაში მიყვანა შემომთავაზეს.

— მას მთავარ გუნდში დამკვიდრების შანსი თუ ჰქონდა?

— იმ სეზონში პირველ გუნდში მხოლოდ კარიმ ბენზემა და ჰატემ ბენ არფა მოხვდნენ.

— სანდრო ლვოვის „კარპატიში“ როგორ აღმოჩნდა?

— მე მენეჯერი ვარ და აქედან გამომდინარე, კონტაქტი სხვადასხვა კლუბთან მაქვს. „კარპატის“ პრეზიდენტი პიოტრ დიმინსკი რომ გავიცანი, ჩემი შვილის კანდიდატურა შევთავაზე. სანდრო გასინჯვაზე ჩამოვიყვანე. მთავარ მწვრთნელ ოლეგ კონონოვს მოეწონა და კონტრაქტიც გაუფორმეს. სანდრო შემტევ ნახევარმცველად თამაშობს და ტექნიკასთან ერთად კარგი სისწრაფე აქვს. მე რომ ასეთი მონაცემები მქონოდა, უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებდი.

— საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე რას იტყვით?

— ყოვლად მიუღებელია, რაც მოხდა. პოლიტიკოსებმა არაფერი იციან და არაფერზე ფიქრობენ — არ შეიძლება პატარა ქვეყანას ასე მოექცე!

— იცით, რომ იმ პერიოდში ლვოვში ხალხს აივნებზე ქართული დროშები ჰქონდათ გამოფენილი?

— ძალიან სასიამოვნოა. საერთოდ, ვხედავ, რომ ლვოვში ქართველებს პატივს სცემენ. ჩემს შვილს ვუთხარი კიდეც, როცა ასე გაფასებენ, ვალდებული ხარ, ამ ხალხს პატივი სცე-თქო. საქართველო უკრაინის მხარდაჭერას აშკარად გრძნობს.




## გიო ახვლედიანის

# ითზ ტემური კეტსბაია

სხვა მრავალთაგან „სკაი სპორტს“ ერთი მშვენიერი სამსახურიც აქვს: გარდა იმისა, რომ ლაივში მიმდინარე თამაშის უკან გადახვევა და ნებისმიერი საინტერესო მომენტის თუნდ ასჯერ ხილვა შეგიძლია, ჩემპიონთა ლიგის საღამოს ნებისმიერი მატჩის საშენოდ ამორჩევა და მისი ცქერაც შესაძლებელია.

ანუ, ონლაინს შენით ანხორციელებ.

ჰოდა, ამ ონლაინს მას შემდეგ დავადექი, რაც „ლივერპულმა“ პირველი გოლი გაუტანა „პსვ ეინდჰოვენს“ და აღმოვაჩინე, რომ „ანორთოსისი“ „პანათინაიკოსს“ სპობს.

სხვათა შორის, მშვენიერი თამაში იყო.

ორი ბერძნული ენისა და სტილის გუნდი თამაშობდა, თუმცა, ერთი განუზომლად დიდი სახელისა იყო.

„ანორთოსისმა“ თავიდან უცებ გაუტანა ორი გოლი „პანათინაიკოსს“, მერე პენალტი მიიღო და ბოლოს კი თავურიც ჩაუჭედა.

მთელ ამ ამბავში, ამ რაღაცნაირ, საშუალო ტემპში მიმდინარე თამაშში მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, თემურ ქეცბაია იყო, რომელიც ინგლისელმა კომენტატორმა მშვენივრად გაიხსენა ნიუკასლური წლებიდან და, საერთოდ, „ანორთოსისი“ იმ საღამოს ერთგვარი პატარა გმირი იყო.

„ვერდერთან“ გაგორებული ფრის შემდეგ, „ანორთოსისმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა ლიგაში.

ეს კლუბისთვის ისტორიული დღე იყო და არა მხოლოდ კლუბისთვის, არამედ მთლიანად კვიპროსული ფეხბურთისთვის.

იქით „ინტერმა“ რომ ვერ მოიგო, „ანორთოსისი“ და „ინტერი“ ერთად ჩაუდგნენ ცხრილს სათავეში.

რაღაცნაირი გუნდია ეს „ანორთოსისი“. რომ უყურებ, რა თქმა უნდა, სულ ქეცბაიაზე ფიქრობ და ცდილობ, რომ მისი სათამაშო შეხედულებები ამოიცნო.

ეს ხილული რამეა, და საინტერესოც. რა თქმა უნდა, „ანორთოსისის“ შემადგენლობა არ არის დიადი და განუმეორებელი, მაგრამ ის რაღაცნაირად ზუსტია. თუ ორიოდე თამაშს ნახავ, უკვე ხელწერასაც ალმოაჩენ და ფეხბურთელებსაც ამოიცნობ.

მგონი, ამ გუნდში მთავარი ტემპი და ზუსტი შესრულებაა. ტემპი მაღალი არ არის, შესრულება კი ისეთია, კაცი რომ იმის მაქსიმუმს აკეთებს, რაც შეუძლია.

აწყობილი გუნდია მოკლედ და გარკვეულწილად საინტერესო გუნდიც არის.

ახლა, ჟოზე მაურინიუ გამხეცებულია, „მილანთან“ წააგო, „ვერდერთან“ ვერ მოიგო, კვლავ თავის ლათაიებს ამბობს, ხოლო „ანორთოსისს“ კი სწორედ „ინტერთან“ ელის ორი თამაში. ამ თამაშებიდან ღირსეულად გამოძრომა, ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თუ ორი მატჩის თავზე კვიპროსელებმა ქულაც კი ვერ აიღეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო სულაც ვერ იქნება, მაგრამ ეს გუნდი უკვე აკეთებს თავის საქმეს და „ინტერთან“ მატჩების შემდეგაც გააკეთებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უკვე გააკეთა „ანორთოსისმა“, წარმატებაა და ქეცბაია უკვე როგორც მწვრთნელი, მშვენივრად დაიმახსოვრა საფეხბურთო სამყარომ.

ეს არ არის პატარა ამბავი.

არა მხოლოდ ქეცბაიასთვის, ჩვენთვისაც მშვენიერი ამბავია.

ნამდვილი და ახალი ქართველი მწვრთნელები სწორედ ასე უნდა გაჩნდნენ.

იქით შოთა მუშაობს, აქეთ კი, ამ კუნძულზე — ქეცბა. სხვანაირად, არც არაფერი იქნება.

ეგ კი არის, რომ ქეცბაიას კოსტიუმსა და ფართო ჰალსტუხში ხილვა ცოტა მიუჩვეველი რამაა, სულ გგონია, რომ ახლა გაიხდის და მინდორზე შევა, მაგრამ კაცი ამას მიეჩვევა.

მთავარი ხომ სულ სხვა რამ არის: ნამდვილი მწვრთნელი, ნამდვილი გუნდი და ნამდვილი ფეხბურთი.

არა, ეს ჰავარ მულა მოჰამედ ტაჰერი სადღა იპოვა? ისე კოხტად დაურტყა...

მოკლედ, გუნდია.

თემურ ქეცბაია დიდი ფეხბურთის ამბავში შევიდა და მგონი, იქიდან აღარასდროს გამოვა.

ჩვენ კი, ცხადია, უნდა გვიხაროდეს და მეტს და მეტს ველოდოთ.

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 5 ტური



ტურის მთავარი მატჩი, რა თქმა უნდა, „ზესტაფონი“ — „დინამო“

# ვის მოეფერება ფეროს ქალაქი...

**სხვისი** არ ვიცით, ჩვენ კი მიმდინარე ჩემპიონატი ჯერჯერობით მოგვწონს. ჩანს, რომ დონეც ცოტა მომატებულია, ჩაწყობილი თამაშების სუნი არ დგას, ყველა თამაშში ბრძოლაა... მეტი რაღა, განვლილ 20 მატჩში მხოლოდ ორგან აღინიშნა სამბურთიანი სხვაობა. ანუ დაძაბულობა გაცილებით მეტია, ვიდრე წინა სეზონში.

ჩემპიონატს ჰყავს ქულადაუკარგავი ლიდერიც და ქულაუნახავი აუტსაიდერიც. თუმც არავინ იცის, როგორ შეტრიალდება მოვლენები. რატომღაც გვგონია, რომ ცხინვალის „სპარტაკი“ ფხიანად ათამაშდება და უპირობო მაჩანჩალა არ იქნება.

მიჰყვა და მიჰყვა ტურები ერთმანეთს, აგერ, ამ შაბათ-კვირას მეხუთე „შემოვლაა“ და ჩვენც სახვალიოთი დავიწყოთ.

„გაგრა“ ის გუნდია, შინ რომ იგებს და სტუმრად აგებს. ამ ლოგიკით, ვლადიმერ ხაჩიძის ბიჭებმა დღეს „სიონი“ უნდა დაამარცხონ.

„სიონს“ კი სულაც არ ელოგიკება, ოთხ ტურში ხუთი ქულა აულია და ეს ნაღდად არ შეესაბამება მათ ამბიციას — სეზონის წინ ქვემოქართლელები ჩემპიონატზე თუ არა, უეფას თასის საგზურზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ოთარ კორღალიძის გუნდში ისეთი თავდამსხმელები არიან, ბარე-ორ ქართულ გუნდს თვალს დაუყენებენ, მაგრამ ჯერ მათგან სარგებელი არ ყოფილა — გოლი არ გაუტანიათ.

„ეს რა ხდება... რაც ჩემპიონატი დაიწყო, არც ერთ გუნდს ჩვენთვის ნორმალურად არ შემოუტევია, მაგრამ მაინც ვერ ვიგებთ“ — გაცხარებული ლაპარაკობდა წინა ტურში „მესხეთთან“ ნამატჩევს „სიონის“ ერთ-ერთი ფეხბურთელი.

ერთი კია, მესხებთან ბოლნისელებმა შედარებით უკეთ ითამაშეს და იმედიანადაც იყვნენ, როდემდე არ გაგვიმართლებს, ჩვენი დროც მოვაო...

აი, „გაგრას“ ყოჩაღ! სტარტის ფონზე, ბორჯომში მათი წაგება ცოტა გაგვიკვირდა. თუმცა ერთიცაა, ყველა აღნიშნავს, ბორჯომის ხელოვნურ საფარზე თამაში გვიჭირს, სასწაულ ჯანს გვართმევსო.

კვირის მატჩებიდან ერთი ისეთია, ვინძლო, საჩემპიონო რომ ეთქმის. მართალია, ჯერ ვერც „ზესტაფონი“ „ზესტაფონობს“ და ვერც „დინამოა“ იმტაზე, მაგრამ, სავარაუდოდ, მათი ხვალინდელი შერკინება დიდწილად საჩემპიონო ბრძოლაზე იქონიებს გავლენას. ფავორიტად ფეროელები ითვლებიან, რაკიღა, ჯერ ერთი, მასპინძლები არიან და მეორეც, „დინამოს“ დაცვაში გაცილებით მეტი ბზარია, ვიდრე იმერლებისაში...

წინა ტურში „ზესტაფონი“ ისვენებდა, დინამოელებს კი მაინც გაუჭირდათ „ოლიმპის“ ძლევა და ეგეც გასათვალისწინებელია, რომ, შესაძლოა, რაინერ ცობელის გუნდმა ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწროს.

„სიონის“ თავდამსხმელთა უნაყოფობა რომ ვახსენეთ, იმავეს ვიტყვით ფეროელებზეც — როგორია, გყავდეს ერიკ რომეო ჩასემი, ნიკა გელაშვილი, ზურაბ იონანიძე და ბექა გოცირიძე, გოლების გრაფაში კი 1 გეწეროს და ისიც ნახევარმცველმა გიორგი ხიდეშელმა შეაგდო „სიონის“ მეკარის შეცდომით.

„დინამოს“ შეტევების სიმძაფრე კი უმეტესად გიორგი მერებაშვილზეა დამოკიდებული. „მერება“ ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო ინდივიდუალისტია ჩვენს ჩემპიონატში და აკი, ექტორ რაულ კუპერმა ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახა.

მოკლედ, „ზესტაფონი“ — „დინამო“ ძაან მატჩი უნდა გამოდგეს. ამ გუნდების ურთიერთშეხვედრაში იმერელთა უპირატესობა აშკარაა, ისინი უკვე უპრინციპულეს მეტოქეებად იქცნენ და აგერ, გუშინ გაირკვა, რომ ამ სეზონში სულ ხუთჯერ შეხვდებიან ერთმანეთს: სამჯერ სამ ჩემპიონატში, ორჯერ — თასზე...

მერებაშვილთან ერთად, ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელის დასახელება ნამდვილად არ გაგვიჭირდება — რატი ალექსიძე! ლოკომოტიველი მშვენიერ ფორმაშია, ოთხი გოლით ლიდერობს ბომბარდირთა დავას და ხვალ „მგლების“ დამწუხრებასაც შეეცდება.

„ლოკომოტივი“ ლიდერია, ალექსიძის გარდა, ვიტალი დარასელია-გიორგი ლომაია-ლევან ცქიტიშვილით იწონებს თავს და, სავარაუდოდ, ზუგდიდელებს ვაკიდან ქულის წაღებაც კი გაუჭირდებათ.

„ლოკომოტივი“ ბოლო ორი-სამი წელი არ ჩანდა ლიდერთა მარაქაში, თორემ მანამდე თითქმის მუდმივად მოწინავეთა შორის ტრიალებდა და ჩემპიონობას მაინც ვერ ეღირსა — ეგებ, ახლა დადგა ჯერი...

კვირას რუსთავშიც მაგარ თამაშს ველით: ისეთი თამაშით, რაც ხვიჩა ქასრაშვილის „ოლიმპმა“ „დინამოსთან“ აჩვენა, „ვიტ ჯორჯიასთან“ შანსი არ აქვს, მაგრამ დავიჯეროთ, ისევ მოფამფალებული იქნებიან რუსთაველები?

თბილისი. 4 ოქტომბერი. 14 საათი. ამერი

**გაგრა — სიონი LIVE**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ა. გუნთაძე, ზვ. ერქვანია, მ. ურუშაძე

გორი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი

**სპარტაკი — ბორჯომი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ბ. ჭიჭინაძე, ზვ. გურგენიძე, ლ. ფანიაშვილი

ზესტაფონი. 5 ოქტომბერი. 14 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — დინამო LIVE**

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ლ. თოდრია, მ. ბეუქლიშვილი

თბილისი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი — მგლები**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი

რუსთავი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ფიფია, ლ. მიქელაძე, ო. ხეცაძე

ქასრაშვილმა თავისიანების თამაშს ანეკდოტური უწოდა — რაც მწვრთნელი ვარ, ჩემი გუნდი ასეთი უსუსური არ მინახავსო.

გამოდის, მწვრთნელმა რაღაც უნდა იღონოს, თორემ ვიტელები ციმციმ სამ ქულას წაიღებენ ქვემო ქართლიდან.

კიდევ ერთი საკვირაო ჯახი გორში იქნება, სადაც „სპარტაკი“ „ბორჯომს“ დაუხვდება და პირველი ქულის (ან ქულების) აღების მშვენიერი შანსი აქვს.

არ არის გამორიცხული, კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი ამ ტურშივე აცოცდეს ბოლო, მეთერთმეტე ადგილიდან.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

# დინამო რეიტინგში: 60 ნაბიჯი წინ

**ფეხბურთის** საერთაშორისო საკლუბო სტატისტიკის ასოციაციამ მსოფლიოს 350 რჩეული კლუბის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოდან მხოლოდ თბილისის „დინამოა“. აღსანიშნავია, რომ წინა თვის რეიტინგში დინამოელები 326-ე საფეხურზე იყვნენ, ახლა კი 60 ადგილით წინ არიან — 70 ქულით 266-ე უჭირავთ.

მარაქას კარგა ხანს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლიდერობდა, ახლა კი „ჩელსიც“ ჩაეზიარება: მათ 267 ქულა აქვთ. ერთწლიანი შესვენების შემდეგ ათეულში შეაღწია ფრანგულმა „ლიონმა“ რომელმაც ლონდონის „არსენალის“ ადგილი დაიკავა.

**ილია ნანობაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| 1-2(1) | მანჩესტერი | 267 |
| 1-2(3) | ჩელსი | 267 |
| 3(2) | ბარსელონა | 259 |
| 4(4) | ბოკა ხუნიორსი | 244 |
| 5(8) | ლივერპული | 241 |
| 6(5) | ბაიერნი | 238 |
| 7-8(10) | ინტერი | 234 |
| 78(7) | ფიორენტინა | 234 |
| 9(6) | რომა | 228 |
| 10(12) | ლიონი | 225 |
| 266(325) | დინამო | 70 |

# ტატრანის მირიან ჭითავა



**სლოვაკეთის** „ტატრანში“ 21 წლის ქართველი ფეხბურთელი ირიცხება — მირიან ჭითავა. მასზე ის ვიცით, რომ „თბილისში“ იყო და ამპლუით ნახევარმცველია.

ჭითავა „ტატრანის“ B გუნდშია და იქ მუდმივად თამაშობს. „ტატრანი“ კი სლოვაკეთის კორგონლიგაში მეხუთე ადგილზეა.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში

**2009 წელს** „ფონდი არველაძის“ ხელშეწყობით მინი-ჩემპიონთა ლიგაში ქართული გუნდი ითამაშებს.

ფონდის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ტურნირი ამსტერდამში გაიმართება და ევროპული კლუბების 10-12-წლიანთა გუნდები ითამაშებენ.

„ფონდი არველაძე“ ამ ასაკში საუკეთესო ბავშვებს მოუყრის თავს, თუმცა ეს ნაკრები ტურნირში საკლუბო სახელით ითამაშებს.

ამსტერდამში გასამგზავრებელი ბავშვებისა და მწვრთნელების შერჩევა მარტში მოხდება.

ერთიც: ქართული გუნდის სპონსორი გერმანული ფირმა JAKO იქნება.

**კახა შალამბერიძე**

# ბეგლარიშვილის დებიუტი

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი ამსტერდამის „აიაქსის“ სარეზერვო გუნდში რომ ჩავიდა სტაჟირებაზე, ადრეც გაუწყეთ. ბეგლარიშვილმა უკვე სადებიუტო მატჩიც ჩაატარა — „აიაქსი 2“ ამხანაგურად „ქუიკ ბოიზს“ გაეჯიბრა (1:1), ბეგლარიშვილმა კი 90 წუთი ითამაშა. აიაქსელთა გოლიც ბეგლარიშვილის წამოწყებულ შეტევას მოჰყვა.

**კახა შალამბერიძე**

# თეთრაძე დასაჯეს

**რუსეთის** ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მახაჩყალის „ანჟის“ მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე 50 000 რუბლით დააჯარიმა.



„სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, თეთრაძე მსაჯების მიმართ გამოხატული აგრესიის გამო დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ ქართველებით სავსე „ანჟი“ პირველ დივიზიონში მე-5 ადგილზეა.

**კახა შალამბერიძე**

# ჯელაძეები მოკვეთეს, ნოზაძე კი გადარჩა

**უსტ-კამენოგორსკის** „ვოსტოკი“ ყაზახეთის სუპერლიგიდან მოკვეთეს.

გიზო და ზვიად ჯელაძეების „ვოსტოკის“ დარად, ლიგიდან გარიცხვა ლაშა ნოზაძის „შახტიორსაც“ ემუქრებოდა, მაგრამ სააპელაციო კომიტეტმა ძალაში მხოლოდ უსტ-კამენოგორსკელთა ვერდიქტი დატოვა, „შახტიორს“ კი 9 ქულა ჩამოაკლო.

მიზეზი გეცოდინებათ: ამ გუნდებს შორის 22-ე ტურში ჩატარებული მატჩი გარიგებული იყო.

მაშინ „შახტიორმა“ შინ 2:1 მოიგო.

**კახა შალამბერიძე**

# საქართველოს ჩემპიონატი 20

## პირველი ლიგა

I წრე. 5 ტური

### აღმოსავლეთი

**გაგრა 2 2:4 ჩიხურა**

0:1 ჭილაძე (19), 1:1 აბაშიძე (23), 2:1 მესხი (24), 2:2 გულიაშვილი (57), 2:3 კობახიძე (81), 2:4 მიქაძე (90)

**გაგრა 2:** ა. კოტრიკაძე, ლალიანი, ბ. ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, გედენიძე, ე. კილაძე (ოქრიაშვილი 59), სუხიშვილი (დ. ჩხაიძე 46), თ. მეტრეველი, მესხი (გ. სეფიაშვილი 68), აბაშიძე, ლ. სეთურიძე

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, ა. ტეტუნაშვილი, ხოკერაშვილი, ფილია

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

**ჩიხურა:** დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე (ი. ზაბახიძე 80), ჭილაძე (ლ. ჩიკვაიძე 58), დოლონაძე (როგავა 85), გულიაშვილი, მ. მიქაძე, ლ. კობახიძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ცარციძე, პეტრიაშვილი, ნ. მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ნოზაძე, ლალიანი, მესხი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**თბილისი 0:3 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 ლუჭაშვილი (50), 0:2 მაისაშვილი (61), 0:3 ვასაძე (90)

**თბილისი:** გიორგობიანი, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, გ. ოდიშარია, ხოხონიშვილი (ჭაფოძე 86), გ. გურეშიძე (ი. მოდებაძე 73), ზვიადაძე, ჯაში, კბილცეცხლაშვილი, სებისკვერაძე (ბელქანია 65), ტორონჯაძე

*სათადარიგონი:* ვ. ლობჟანიძე, მიქელაძე, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ხურცილავა (გამრეკლიძე 46), ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, მაისაშვილი, ღანიაშვილი, ვასაძე, გ. ჯანელიძე, ბერიაშვილი (ზაქრაძე 46), ლუჭაშვილი (ფურცელაძე 65)

*სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი, გოგიაშვილი, ი. სვანიძე, დვალაშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ლუჭაშვილი, მაისაშვილი, სარაჯიშვილი, ოდიშარია, ამისულაშვილი, ზვიადაძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

50 მაყურებელი

**სიონი 2 2:2 დინამო 2**

0:1 სიხარულიძე (7), 1:1 გიგინეიშვილი (81), 1:2 მამუჩიშვილი (83), 2:2 გ. ოქროპირიძე (90)

**სიონი 2:** გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, იობაშვილი, გ. ოქროპირიძე, გაბიძაშვილი (ი. ბრეგვაძე 86), ვ. უგრეხელიძე, ლ. უგულავა, ბუბუტეიშვილი, ალფაიძე (ჯ. უგულავა 81), მ. ოქროპირიძე (გიგინეიშვილი 53), ჯიქიძე

*სათადარიგონი:* ჭაველაშვილი, არღვლიანი, ქობულაძე, გიორბელიძე

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

**დინამო 2:** გ. ნადირაძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, გ. დარასელია, ნემსაძე, კაკუბავა, ვ. ბოლქვაძე (ჯოხაძე 77), გ. ჩიკვაიძე (მამუჩიშვილი 68), ი. სიხარულიძე, ნ. ჯიშკარიანი (ქანთარია 73)

*სათადარიგონი:* ჭყონია, გუგავა, კოპაძე, ქამუშაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: ლ. უგულავა, გაბიძაშვილი, ჩიკვაიძე

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

**ამერი 4:1 ჰერეთი**

0:1 კუპრაშვილი (2), 1:1 ჩიმაკაძე (6), 2:1 ლაფერაშვილი (52), 3:1, 4:1 ქებაძე (78, 90)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, თ. სანიკიძე, კაკაბაძე, ხუციძე (გ. ჯელაძე 80), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (ცხოვრებაშვილი 80), ტიკურიშვილი, ლ. ბოჯგუა (ნ. ქებაძე 46), ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, გ. ხელაძე, ჯინიკაშვილი, ფუტკარაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**ჰერეთი:** ბილიხოძე, ხარაიშვილი, ლომიძე, ფარულავა, გ. მაჭარაშვილი, თანდაშვილი (ვარამიშვილი 68), კუპრაშვილი (მაჭავარიანი 55), ყორღანაშვილი, გვარაძე (წვერავა 46), შ. ლობჟანიძე, თოფურია

*სათადარიგონი:* გრიგოლაშვილი, ზედგენიძე, მატვიენკო

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

გაფრთხილება: სანიკიძე, მაჭავარიანი, ფარულავა

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

200 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ჩიხურა | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 8 |
| სიონი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| ნორჩი დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ჰერეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| გაგრა 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:14 | 0 |

**VI ტური**

6 ოქტომბერი

დინამო 2 – კახეთი

ჩიხურა – სიონი 2

ჰერეთი – გაგრა 2

ვიტ ჯორჯია 2 – ამერი

ნორჩი დინამო – თბილისი

### დასავლეთი

**გურია 1:0 ტორპედო 2008**

1:0 რ. კუკულაძე (69)

**გურია:** აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ქურიძე, ცინცაძე, გ. იმნაძე, ბეგონიძე (ს. მოდებაძე 19), კვერენჩხილაძე (სულაბერიძე 80), ტ. კუკულაძე, მ. კოტრიკაძე (ურუშაძე 60), გოგიბერიძე, მგელაძე

*სათადარიგონი:* ხურციძე, ჯორბენაძე, შეწირული, ჯაყელი

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, შველიძე, ბიბილაშვილი, ხარებავა, ბესარაშვილი, ჭანკვეტაძე, გ. კირკიტაძე (ი. დარსაძე 27), კოსტავა, დანელია (ა. ქობალია 75), კობერიძე, ტიელიძე

*სათადარიგო:* კუჭუხიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

გაფრთხილება: გოგიბერიძე, ურუშაძე, ბესარაშვილი

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

300 მაყურებელი

**კოლხეთი 1:0 მეშახტე**

1:0 ნარსია (86)

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ლუსტა, დ. ნარსია, ცხვიტარია, ქომეთიანი, ჩხარტიშვილი, გვიჩია (ციკოლია 44), გვალია (აბურჯანია 74), გელაჭეიშვილი, ბაკარანძე, ქანდავაძე (წიქარიშვილი 60)

*სათადარიგონი:* ლატარია, გოგნაძე, ლემონჯავა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

**მეშახტე:** გიორგაძე, დონაძე, ი. გვეტაძე, მ. ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, ლომთაძე, მაჩალაძე, გოგუა, გ. გვენეტაძე, ბ. გვეტაძე, ავალიშვილი

*სათადარიგონი:* თორთლაძე, წერეთელი, რ. კალანდაძე

მწვრთნელი: მერაბ ბაბუხადია

გაფრთხილება: ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

300 მაყურებელი

**ჭიათურა 3:0 ბათუმი**

1:0, 2:0 სევასტოპულო (33, 5[illegible]), 3:0 ხაჭიპერაძე (80)

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ბრუს[illegible], [illegible] (ცუცქირიძე 46), გ. ილურიძე, ნგოკო (გ. ხაჩიძე 70), ვ. ტყემალაძე (ნ. ტყემალაძე 83), სეფერთელაძე, სევასტოპულო, ზ. ხაჭიპერაძე

*სათადარიგონი:* ზ. დარჯანია, კ. ძაგანია, ვაშაძე, გოგბერაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი (გალოგრე 60), გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, გორჯელაძე, მალაზონია, ზოიძე (ქადიძე 52), დემურაძე (ლ. კალანდაძე 46)

*სათადარიგონი:* მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

100 მაყურებელი

**სამტრედია 0:1 მერანი (მ)**

0:1 ციცხვაია (30)

**სამტრედია:** ი. დ. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, ნინუა, სამსეიშვილი, ჩომახიძე, ადეიშვილი, ეცადეიშვილი, ბაკურაძე (ი. გ. შენგელია 74), ოქრუაშვილი, ბოხუა (ლ. მახარაძე 39)

*სათადარიგონი:* კეკელიძე, გ. დარჯანია, თელია, სალდაძე

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

**მერანი (მ):** კოდალაევი, ჩხიკვაძე, ფარცვანია, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი, წოწორია, დ. გოგოლაძე (დ. თოდუა 84), ლ. კირკიტაძე (ტორაძე 71), ლ. ჩალაძე, ციცხვაია (არდაშელია 79)

*სათადარიგონი:* ცაგარეიშვილი, ენდელაძე, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გოგოლაძე, წოწორია, ბაკურაძე, ადეიშვილი

მსაჯი: ლ. სილაგავა

600 მაყურებელი

**ბაია 2:0 ზესტაფონი 2**

1:0 გუგუჩია (56), 2:0 ძალამიძე (61)

*კეჭაყმაძემ ვერ გაიტანა პენალტი (85)*

**ბაია:** ივარდავა, გ. პაჭკორია, გ. ჟვანია, კვეკვესკირი, ქაშაკაშვილი (ლ. ქობალია 59), ძალამიძე, ბოკუჩავა, რაფავა (კუტალია 89), ვართაგავა (კაკუშაძე 81), გუგუჩია, ქირია

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ეხვაია, დ. პაჭკორია, აფაქიძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, ხიხაძე (სუხიაშვილი 48), ზ. ლობჟანიძე, ბენაშვილი, შ. ლონლაძე, მაკარიანი, ლომაშვილი, სტეფანიშვილი (კვირიკეიშვილი 67), კეჭაყმაძე, ხიდეშელი (ბუკია 75), ბერიძე

*სათადარიგონი:* კამლაძე, გ. ხაჩიძე, ბერუაშვილი, ო. ბოჭორიშვილი

მწვრთნელი: გია ნადირაძე

გაფრთხილება: გუგუჩია, ლონლაძე, კეჭაყმაძე

გაძევება: ლობჟანიძე (90)

მსაჯი: ო. ხეცაძე

600 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 5 | 4 | 0 | 1 | 14:4 | 12 |
| ბაია | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| კოლხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 10 |
| სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| მერანი (მ) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| ბათუმი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| ტორპედო 2008 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| მეშახტე | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

**VI ტური**

6 ოქტომბერი

ტორპედო 2008 – კოლხეთი

ბათუმი – გურია

მერანი (მ) – ჭიათურა

ზესტაფონი 2 – სამტრედია

ხობი – ბაია

# სფურზის უცნაური სურვილი



ნეტავ, რით უნდა მოხიბლოს „ტოტენჰემმა“ მარკ ჰიუზი?

**ნუ გაგიკვირდებათ** და, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ბანაკიდან ხმა გამოვიდა, რომ ხუანდე რამოსი მწვრთნელის თანამდებობაზე მარკ ჰიუზმა უნდა შეცვალოს. საოცარია, არა? ჰიუზი ხომ პრემიერლიგის სხვა გუნდის, „მანჩესტერ სიტის“ თავკაცია...

და იცით, „სფურზის“ წარმომადგენლები „სიტის“ თავკაცს როდის შეხმიანებიან? უეფას თასზე, „ომონიასთან“ თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე.

წინადადება ასეთია: ხუთ წელიწადში 20 მილიონი გირვანქა, ოღონდ ჰიუზი საქმეს მომავალი კვირის ბოლოსვე უნდა შეუდგეს — მოგეხსენებათ, ერთ კვირაში საკლუბო ფეხბურთი ისვენებს, საქმეში ნაკრები ერთვებიან.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „სფურზის“ თავმჯდომარემ დენიელ ლევიმ ჯოხის გადატეხვა მაინც ხუანდე რამოსზე გადაწყვიტა. უეფას თასზე, კრაკოვის „ვისლასთან“ ჩატარებული შეხვედრა ხომ, ეჭვი არ არის, ლევის თავისი გადაწყვეტილების სისწორეში უფრო მეტად დაარწმუნებდა: ლონდონური გუნდი ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე ორი მიზეზის გამო გავიდა: პოლონელებმა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და ერთიც საკუთარ კარში შეაგდეს.

გარდა ამისა, დამალული არ არის, რომ ლევი 44 წლის მარკ ჰიუზის დიდი ხნის თაყვანისმცემელია და შარშან, დაახლოებით ამ დროს, მარტინ იოლის შემცვლელობას სწორედ მას სთავაზობდა.

მაგრამ, უნდა კი ჰიუზს „მანჩესტერ სიტიდან“ სადმე გადასვლა? მისი მანჩესტერული ხელფასი წელიწადში 2,5 მილიონი გირვანქაა და, გარდა ამისა, მას მერე, რაც „სიტი“ აბუ დაბის ბიზნესჯგუფმა იყიდა, ფეხბურთელების შესაძენად ულევი თანხა გამოუჩნდა. ახლახან არ იყო, კლუბმა, რომელშიც ჰიუზი მუშაობს, ბრაზილიელი რობინიოს ყიდვაში თვით „ჩელსის“ რომ აჯობა? აბუდაბელებმა „რეალს“ 32,5 მილიონი გირვანქა მიართვეს...

როგორც ინგლისელი ჟურნალისტები ეჭვობენ, „სიტის“ ახალი პატრონი, შეიხი მონსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი ჰიუზს იოლად არ დათმობს — ცნობილია, რომ ახალი მფლობელები უელსელ მწვრთნელს 2011 წლისთვის ჩემპიონთა ლიგის მოგებას სთხოვენ.

„გვინდა, ყველას გასაგონად ვთქვათ, რომ მარკ ჰიუზი ჩვენი გეგმების ურყევი შემადგენელია. ბედნიერები ვართ, ჩვენს განკარგულებაში ბრიტანეთის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელი რომ არის. მას წარმატებებისთვის მიუღწევია, როგორც მსოფლიო ასპარეზზე (სამწუხაროდ, „სარბიელისთვის“ ჰიუზის მსოფლიო წარმატებები უცნობია), ასევე პრემიერლიგაში და, რასაკვირველია, ფეხბურთელობისას“.

ხოლო, „სფურზს“ გასულ სეზონში „ქარლინგის თასის“ მოგების შემდეგ, საშინელი დაღმასვლა აქვს. სტატისტიკოსებმა დავთრებში ჩაიხედეს და ნახეს, რომ ლონდონელებს პრემიერლიგაში საქმე უფრო ცუდად აქვთ, ვიდრე გასული პირველობის ზუსტად ამ ეტაპზე „დერბის“ ჰქონდა.

სხვათა შორის, ხუანდე რამოსის მიერ ახალი ფეხბურთელების ყიდვაში დახარჯულ 81 მილიონ გირვანქასაც ახლა უკვე სხვა თვალით უყურებენ. ბევრი ამბობს, რომ ესპანელმა ეს ფული უბრალოდ ქარს გაატანა.

დღეს, ექვსი ტურის შემდეგ, „ტოტენჰემი“ მხოლოდ ორი ქულა აქვს და პრემიერლიგის ცხრილის ძირშია.

**პაპუნა კედია**

| VII ტური |
|---|
| **დღეს** |
| ვესტ ბრომვიჩი — ფულემი |
| უიგანი — მიდლსბრო |
| სანდერლენდი — არსენალი |
| ბლექბერნი — მანჩესტერი |
| **ხვალ** |
| ჩელსი — ასტონ ვილა |
| ევერტონი — ნიუკასლი |
| სიტი — ლივერპული |
| პორტსმუთი — სტოკი |
| ტოტენჰემი — ჰალი |
| ვესტ ჰემი — ბოლტონი |

## ინგლისი

# არსენალს პირველის დაბრუნება სურს

**„არსენალმა“** გასულ ტურში ლიდერობა დაკარგა და დღეს პირველ ადგილზე გადასვლის შანსი აქვს. საამისოდ „მეთოფეებმა“ სანდერლენდში უნდა იმარჯვონ, სადაც ბოლო ოთხი სტუმრობისას ისე მოიგეს, რომ გოლი არ გაუშვიათ. „სანდერლენდმა“ „არსენალი“ ბოლოს შინ 2000 წლის აგვისტოში დაამარცხა.

არსენ ვენგერის გუნდმა სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „პორტუს“ 4:0 სძლია ადებაიორის და ვან პერსის წყვილ-წყვილი გოლებით.

მასპინძლებს ტაინიო და ნოსუორთი დააკლდებათ, ხოლო ბერდსლისა და ლიდბიტერის თამაში საეჭვოა. სტუმრებს „პორტუსთან“ ნათამაშები შემადგენლობიდან ტრავმირებული არ ჰყავთ.

„მიდლსბროს“ მასპინძელ „უიგანს“ 24 აგვისტოს მერე არ წაუგია: ექვსი მატჩიდან (მათ შორის — ლიგის თასზე) ოთხი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა. ბოროელებმა კი ზედიზედ ოთხ შეხვედრაში გამარჯვების გემო არ იციან — ოთხივეში დამარცხდნენ.

„უიგანს“ ერიკ ედმანი ვერ დაეხმარება, ხოლო „მიდლსბროს“ — ხულიო არკა, თუნჯაი შანლი და ემანუელ პოგატეცი.

მიჯრით სამი მატჩის (ერთი — თასზე) წამგები „ფულემი“ „ვესტ ბრომვიჩს“ ეწვევა, რომელმაც გასულ ტურში მიდლსბროში იმარჯვა. „ფულემს“ ვესტბრომვიჩელები სტუმრად 2000 წლის დეკემბრის შემდეგ არ დაუმარცხებია. დამხვდურებს კრის ბრანტი, აბდულაი მეიტე, ნილ კლემენტი და კიმ დო ჰეონი დააკლდებათ, ფულემელებს კი ძირითადი შემადგენლობიდან ტრავმირებული არ ჰყავთ.

„ბლექბერნი“ „მანჩესტერს“ უმასპინძლებს, რომელთანაც შინ ბოლოს 2006-ში წააგო. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის აქეთ, „მანჩესტერმა“ ბლექბერნიდან სამი ქულა მხოლოდ ორჯერ წაიღო.

„ბლექბერნმა“ 20 სექტემბრიდან ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, „მანჩესტერი“ კი 13 სექტემბრის მერე ხუთ შეხვედრაში არ დამარცხებულა.

უეინ რუნი, მაიკლ კარიკი და პოლ სქოულზი დღეს ვერ ითამაშებენ, „ბლექბერნს“ კი პოლ რობინსონი და დევიდ დანი არ ეყოლება. აქვე ვთქვათ, რომ „მანჩესტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად „ოლბორგს“ 3:0 მოუგო. დიმიტარ ბერბატოვმა დუბლი შეასრულა და ერთიც უეინ რუნიმ შეაგდო.

„ბოლტონმა“ პირველ ტურში „სტოკს“ რომ სძლია, მას შემდეგ კი ექვს მატჩში გამარჯვება ველარ შეძლო. ხვალ ბოლტონელები „ვესტ ჰემს“ ჩააკითხავენ, სადაც 2005 წლის აგვისტოს მერე არ მოუგიათ. „ჩაქუჩებს“ დინ ეშტონი, დენი გაბიდონი, ჯონათან სპექტორი და კირონ დაიერი დააკლდებათ.

„მანჩესტერ სიტის“ 2005 წლის აგვისტოს შემდეგ შინ „ლივერპული“ არ დაუმარცხებია და გოლიც არ გაუტანია. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ბოლო შვიდ მატჩში ერთ გოლზე მეტი არ გასულა.

„სიტიმ“ უეფას თასზე „ომონიას“ 2:1 მოუგო ელანუს და რაიტ-ფილიპსის გოლებით, ხოლო „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგაში პსვ-ს 3:1 სძლია. ჰოლანდიელებს კუიტმა, კინმა და ჯერარდმა გაუტანეს.

„ქალაქელებს“ ბოჟინოვი და ვასელი დააკლდებათ, მეარუვარის, მაიკლ ჯონსონის და მარტინ პეტროვის თამაში საეჭვოა.

„სტოკი“ პორტსმუთში ჩაბრძანდება, სადაც 1994 წლის მერე არ მოუგია. პორტსმუთელებმა უეფას თასზე „გიმარაეშთან“ სტუმრად დამატებით დროში პიტერ კრაუჩის დუბლით მოიგო. „სტოკს“ ლიამ ლოურენსი არ ეყოლება, „პორტსმუთს“ კი ლასანა დიარას, შონ დევისის, ჯერომ ტომასის და ნიკო კრანჩარის გარეშე მოუწევს თამაში. შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ლორანი და რიჩარდ დაფი გამოჩნდნენ.

პრემიერლიგის ბოლოადგილოსანი „ტოტენჰემი“ ჩემპიონატში პირველი მატჩის მოგებას შეეცდება. „შპორების“ სტუმარი „ჰალი“, რომელმაც გასულ ტურში „არსენალს“ 2:1 სძლია, და ცხრილში მეშვიდე ადგილზეა გამოჭიმული. „ტოტენჰემი“ უეფას თასზე კრაკოვში „ვისლას“ 1:1 დაუზავდა და ჯგუფური ეტაპი გაიარა.

„ევერტონი“ ერთადერთია, შინ ჯერ ქულაც რომ არ აუღია და ხვალ ნავსი ევებ „ნიუკასლთან“ გატეხოს, ვისთანაც 2001 წლის აქეთ „გუდისონ პარკზე“ არ დამარცხებულა. თან „ნიუკასლს“ კვლავაც დროებითი მწვრთნელი ჰყავს და ბოლო ხუთი მატჩი ზედიზედ წააგო. „ევერტონმა“ უეფას თასზე „სტანდარდთან“ ბელგიაში 1:2 მარცხი იწვნია და ევროთასს დაემშვიდობა. დევიდ მოიესის გუნდმა 14 სექტემბრის შემდეგ ხუთი შეხვედრიდან ერთიც ვერ მოიგო. „ევერტონს“ დისკვალიფიცირებული ტიმ კეჰილი დააკლდება, „ნიუკასლს“ კი ობაფემი მარტინსი და ალან სმიტი ვერ დაეხმარებიან. ჰაბიბ ბეიე და ხოსე ენრიკე გამოკეთდნენ და ალბათ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ.

„ჩელსის“ „ასტონ ვილასთან“ დიდიე დროგბა, რიკარდუ კარვალიუ, მიკაელ ესიენი და დეკუ არ ეყოლება. მსუბუქად დაშავებულნი არიან ჯო კოული, ალექსი, ჯონ ტერი და ეშლი კოული.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჩელსი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 14 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 5 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 |
| 2 ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 3 ასტონ ვილა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 4 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 |
| 4 არსენალი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:4 | 8 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 5 | 6 |
| 5 ვესტ ჰემი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:10 | 3 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 6 ჰალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:11 | -2 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:8 | -4 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 7 ბლექბერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:12 | -4 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 8 სიტი | 6 | 3 | 0 | 3 | 16:9 | 7 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 3 |
| 9 პორტსმუთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:12 | -5 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | -7 | 3 |
| 10 უიგანი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 4 |
| 11 მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 12 ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 13 სანდერლენდი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 14 ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | -4 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 7 |
| 15 ფულემი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 16 მიდლსბრო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | -3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 17 ბოლტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 18 სტოკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 19 ნიუკასლი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 20 ტოტენჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |

# ვერმოსწრებული




**მადრიდის „რეალმა“** განაცხადა, რომ იანვარში, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა თავიდან გაიღება, „ლივერპულისგან“ დანიელ აგერს იყიდის.

საქმე ის გახლავთ, რომ ესპანეთის ჩემპიონი დანიელი ფეხბურთელის შეძენას ზაფხულშიც აპირებდა, მაგრამ ვერ შეძლო. და რატომ აქვს იმედი, რომ ამას საახალწლოდ მოახერხებს? საქმე ის არის, რომ 23 წლის მცველი რაფა ბენიტესის ხალმძღვანელობის ქვეშ თავს მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობს. რაც ახალი სეზონი დაიწყო, ის ძირითადში სულ ორჯერ ათამაშეს. პირველად ეს ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე მოხდა, მეორედ კი „ქარლინგის თასზე“.

ნუთუ აგერი „ლივერპულს“ არ სჭირდება?

როგორც კი „რეალის“ ხელახალი ინტერესის ამბავი შეიტყო, ბენიტესმა კონტრაქტის განახლებაზე წაიბუტბუტა რაღაც, მაგრამ ამ ამბავს კოჭებშივე ეტყობა, რომ სერიოზული არ არის.

თავის დროზე აგერში „ლივერპულმა“ „ბრონდბიუს“ 5,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

მადრიდელთა ვიცე-პრეზიდენტი ხოსე ანხელ სანჩესი:

„ჩვენ აგერის ყიდვას ზაფხულზე ვაპირებდით, მაგრამ რობინიოს „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლამ იმდენი ყურადღება და ენერგია მოითხოვა, რომ ამ ტრანსფერისთვის ვეღარ მოვიცალეთ. აგერი მსოფლიო კლასის მცველია და მწამს, ჩვენს სისტემას ზუსტად მოერგება. ჩვენ ერთი მცველის და ერთი თავდამსხმელის შეძენას ვაპირებთ და სიაში პირველი სწორედ ის გვიწერია“.

**ბაჩუნა ძიძია**



# განწყვეტას გადარჩა

**„ჩელსიმ“** ექიმებისგან სასიამოვნო ამბავი შეიტყო — დიდიე დროგბას ტრავმა მეტისმეტად მძიმე არ აღმოჩნდა. არადა, პირველ დღეს მედიკოსებმა საშინელი პროგნოზი გამოთქვეს: კოტდივუარელს გამოსაჯანმრთელებლად თვეები დასჭირდებაო. ახლა ირკვევა, რომ კვირებიც ეყოფა.

შეგახსენებთ, რომ დროგბამ ტრავმა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მიიღო. „ჩელსი“ „კლუჟს“ სტუმრობდა. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

მიწას დანარცხებული დროგბა მართლაც მძიმე შესახედავი იყო. ზემოთ მოგახსენეთ, რომ პირველი შთაბეჭდილება საავადმყოფოს ექიმებსაც მეტად მძიმე დარჩათ, ეგონათ, ფეხბურთელის მუხლს კარგა ხანს ვეღარ გაამთელებდნენ, მაგრამ დრო გავიდა და გაირკვა, რომ ოპერაციაც კი არ იქნება საჭირო.

„დიდიე დროგბას კოჭი და მუხლი სერიოზულად აქვს დაშავებული, თუმცა, საბედნიეროდ, მყესების გაწყვეტას გადარჩა — წერია „ჩელსის“ ვებგვერდზე — ქირურგიული ჩარევა საჭირო არ არის. უახლოესი ორი-სამი დღის განმავლობაში ექიმები პროცესს დააკვირდებიან და დაზუსტებით იტყვიან, თუ რა ხანი დასჭირდება მოედანზე დასაბრუნებლად, თუმცა აშკარად შეიძლება იმის თქმა, რომ დროგბას გამოჯანმრთელებას თვეები არ დასჭირდება. ეს კვირების საქმეა“.

**ბაჩუნა ძიძია**

## იტალია

# პალერმო ამაურის გულშია, მაგრამ...

| VI ტური |
|---|
| **დღეს** |
| ლაციო — ლეჩე |
| ინტერი — ბოლონია |
| **ხვალ** |
| სიენა — რომა |
| კიევო — ფიორენტინა |
| რეჯინა — კატანია |
| კალიარი — მილანი |
| ატალანტა — სამპდორია |
| იუვენტუსი — პალერმო |
| უდინეზე — ტორინო |
| ჯენოა — ნაპოლი |

**ყველამ** იცის, რომ ბოლო წლებში „მილანმა“ „დერბი დელა მადონინას“ უმრავლესობა სრულიად დამსახურებულად მოიგო“ — დაწერა „ტუტოსპორტის“ ჟურნალისტმა ვიტორიო ორეჯამ.

„მაურინიუს კომენტარების უმეტესობაზე მეცინება ხოლმე“ — ეს კი „მილანის“ ლიდერის კაკას სიტყვებია.

გასულ უქმეებზე „როსონერისთან“ მილანური დერბის წაგების მერე, „ინტერის“ თავკაც ჟოზე მაურინიუზე ზეწოლა გაძლიერდა და, წესით, პორტუგალიელი კარგ გუნებაზე არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ შუაკვირაში „ნერაძურიმ“ ჩემპიონთა ლიგაში შინ „ვერდერსაც“ ვერ მოუგო.

ახლა „განსაკუთრებულმა“ და მისმა გუნდმა მთელი ბრაზი საწყალ „ბოლონიაზე“ უნდა ამოანთხიონ, რომელსაც თავისი პრობლემებიც ჰყოფნის. სხვათა შორის, „როსობლუმ“ მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით ერთადერთი გამარჯვება სწორედ „სან სიროზე“, პირველივე ტურში „მილანთან“ მოიპოვა.

თუ ბოლონიელები ამ მატჩსაც წააგებენ, რისი დიდი შანსიც არის, დანიელე არიგონი, შესაძლოა, მოხსნან და ამ ეტაპზე მის სავარაუდო შემცვლელად ყველაზე ხშირად დიდიე დეშანს ასახელებენ.

„ინტერს“ ნიკოლას ბურდისო და მარკო მატერაცი ჰყავს დისკვალიფიცირებული. „ბოლონიას“ კი, ალბათ, გაბი მუდინგაი დააკლდება, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს.

სერია A-ს მოულოდნელი ლიდერი რომის „ლაციო“ „ლეჩეს“ მასპინძლობს და პირველი ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი აქვს. თუმცა, ურიგო ფორმაში არც „ვია დელ მარის“ ბინადარნი არიან და იოლად ისინი არაფერს დათმობენ.

„ბიანკოჩელესტის“ სიმონე დელ ნეროსა და ფრანსელინუ მატუზალემის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. სტუმრებს კი ანჯელუ, ალბერტო ჯულიატო, ჯუზეპე ვივესი და დივიდე პეტრაკი არ ეყოლებათ.

სეზონის არადამაჯერებლად დაწყებისა და განსაკუთრებით, ჩემპიონთა ლიგაში ბატე-სთან ფრის შემდეგ, ტურინის „იუვენტუსს“ ფანების გულის მოგება სჭირდება, მაგრამ სახუმარო მეტოქე სულაც არ ჰყავს — მშვენიერ ფორმაში მყოფი „პალერმო“.

ნიკოლა ლეგროტალიე, რომელმაც „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა, დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს. „ბიანკონერი“ დავიდ ტრეზეგესაც მოისაკლისებს. შესაძლოა, ვერც ჯორჯო კიელინიმ ითამაშოს. „პალერმოს“ მხრიდან კი, თითქმის გადაწყვეტილია, რომ რობერტო გუანა, იგორ ბუდანი და მარკ ბრეშანო არ იქნებიან.

ჩემპიონატში „იუვეს“ გოლების გატანა ჯერჯერობით ძალიან უჭირს. მთავარი, ვინც თანაგუნდელებთან ერთად მეტოქის კარს შეუტევს, ამაურია, რომელიც ტურინელებმა ამ ზაფხულს სწორედ „პალერმოსგან“ იყიდეს.

„ეს ჩემთვის განსაკუთრებული და ამაღელვებელი თამაში იქნება. სიცილიაში ორი ბრწყინვალე სეზონი გავატარე, გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება. შევხვდი ბევრ ექსტრაორდინარულ ადამიანს და მუდამ სითბოს ვგრძნობდი. ამიტომ, „პალერმოსა“ და მის ქომაგებს ჩემს გულში მუდამ გამორჩეული ადგილი ექნებათ. რაც შეეხება „იუვეს“, ვფიქრობ, პირადად ჩემი და გუნდის საქმეებიც კარგად მიდის. სეზონი სულ ახლახან დაიწყო და ვერ გამიგია, რატომ საუბრობენ ჩვენს კრიზისზე? ყველა, ვინცა უნდა შეგხვდეს, 100 პროცენტით იხარჯება და ასე მოხდა ბატე-ს შემთხვევაშიც. მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ, რომლის წყალობითაც 0:2-ის მერე, ანგარიშის გათანაბრება შევძელით“ — თქვა ამაურიმ.

| 20:00 | 692 | ლილესტრომი-ფრედრიკსტადი | 2.10 | 3.40 | 3.40 | 1.29 | 1.29 | 1.70 |
| 22:00 | 693 | ლინი-როზენბორგი | 3.20 | 3.40 | 2.15 | 1.64 | 1.28 | 1.31 |
| 20:00 | 695 | სტრომსგოდსეტი-ალესუნდი | 2.00 | 3.40 | 3.70 | 1.25 | 1.29 | 1.77 |
| 20:00 | 696 | ვიკინგი-ტრომსო | 2.10 | 3.40 | 3.25 | 1.29 | 1.27 | 1.66 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 694 | მოლდე-ბრანი | 2.60 | 3.40 | 2.55 | 1.47 | 1.28 | 1.45 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 699 | ჰაუგესუნდი-ოდ გრენლანდი | 3.70 | 3.50 | 1.95 | 1.79 | 1.27 | 1.25 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 697 | ალტა-კრისტიანსუნდი | 2.50 | 3.50 | 2.50 | 1.45 | 1.25 | 1.45 |
| 17:00 | 698 | ჰოდი-ნოტოდენი | 4.20 | 4.00 | 1.70 | 2.04 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 700 | ლოვ ჰამი-ბრინი | 2.35 | 3.50 | 2.70 | 1.40 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 701 | ნიბერგსუნდი-[illegible] | 2.30 | 3.50 | 2.75 | 1.38 | 1.25 | 1.53 |
| 20:00 | 702 | სანდეფიორდი-მოსი | 1.50 | 4.20 | 5.50 | 1.10 | 1.17 | 2.38 |
| 17:00 | 703 | სარპსბორგი-სოგნდალი | 2.90 | 3.40 | 2.30 | 1.56 | 1.28 | 1.37 |
| 20:00 | 704 | სტარტი-სანდნესი | 1.30 | 5.00 | 7.50 | 1.03 | 1.10 | 3.00 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 709 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 710 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 2.30 | 3.25 | 3.00 | 1.34 | 1.30 | 1.55 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 711 | ორგრიტე-სუნდსვალი | 1.60 | 3.60 | 5.65 | 1.10 | 1.24 | 2.19 |
| 17:00 | 712 | ჰალმსტადი-აიკ | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| 17:00 | 713 | ტრელებორგი-კალმარი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 28 | მალმო-ორებრო | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 21:00 | 29 | ნორჩეპინგი-გაისი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 22:00 | 30 | გოტებორგი-ჰამარბი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 720 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 17:00 | 721 | ინტერი-ჰონკა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:30 | 722 | კუოპიო-მიპა | 2.85 | 3.20 | 2.40 | 1.50 | 1.30 | 1.37 |
| 19:30 | 723 | ლაჰტი-ჰაკა | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 19:30 | 724 | ტამპერე-მარიეჰამნი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:30 | 725 | ვაასა-იარო | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 33 | [illegible] | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 727 | [illegible] | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 16:00 | 728 | კაპა-კპვ კოკოლა | 3.70 | 3.35 | 1.80 | 1.75 | 1.21 | 1.17 |
| 16:00 | 729 | ტპვ ტამპერე-ეკენასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 730 | ჯს35-ვაასა | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 731 | გრანკულა-ჰამეენლინა | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:30 | 732 | ოულუ-პანტერი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 745 | კორკი-შემროკი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 10:00 | 755 | გამბა-კაშიმა | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 10:00 | 756 | კავასაკი-ოიტა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 10:00 | 757 | ნიიგატა-იოკოჰამა ფმ | 2.25 | 3.10 | 2.20 | 1.30 | 1.11 | 1.28 |
| 10:00 | 758 | ტოკიო-შიმიცუ | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 13:00 | 759 | კობე-კიოტო | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 13:00 | 760 | ომია-კაშივა | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 11:00 | 763 | ნაგოია-ურავა | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 09:00 | 761 | ჩიბა-[illegible] | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 09:00 | 762 | ივატა-საპორო | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 27 | კანზასი-ჩივასი | 2.30 | 3.25 | 2.80 | 1.34 | 1.26 | 1.50 |
| 03:30 | 765 | კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 03:30 | 766 | ვაშინგტონი-[illegible] | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 03:30 | 767 | ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი | 1.65 | 3.50 | 4.75 | 1.12 | 1.22 | 2.01 |
| 03:30 | 768 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 05:30 | 769 | კოლორადო-ჰიუსტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | მექსიკა. აპერტურა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:00 | 771 | ტიგრესი-ატლასი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 06:00 | 770 | ნეკაქსა-პაჩუკა | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 01:55 | 772 | კრუზ აზული-ტოლუკა | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 03:00 | 773 | ჩიაპასი-ტიგრესი | 2.05 | 3.25 | 3.15 | 1.25 | 1.24 | 1.59 |
| 03:00 | 774 | ატლასი-სან ლუისი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 01:55 | 775 | მონტერეი-ხაგუარესი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 21:00 | 776 | პუებლა-ატლანტე | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 778 | პუმასი-ამერიკა | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:00 | 777 | სანტოსი-მორელია | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:55 | 786 | რასინგი-რივერპლეიტი | 1.90 | 3.25 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.77 |
| 04:15 | 787 | სან მარტინი-ბანფილდი | 1.95 | 3.25 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.73 |
| 23:10 | 788 | ველესი-სან ლორენსო | 2.05 | 3.15 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:20 | 780 | ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 21:10 | 781 | ხიმნასია ჟუჟუი კრუზი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 21:00 | 783 | ურაკანი-ინდეპენდიენტე | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 01:20 | 784 | ლანუსი-არხენტინოს ხუნიორსი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 04:00 | 785 | ნიუელსი-ტიგრე | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:40 | 779 | არსენალი-კოლონი | 1.95 | 3.25 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.69 |
| 01:40 | 782 | ხიმნასია ლპ-როსარიო ცენტრალი | 2.70 | 3.10 | 2.40 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 792 | ატლეტიკო-სან პაულუ | 2.90 | 3.25 | 2.25 | 1.53 | 1.26 | 1.32 |
| 23:00 | 793 | ნაუტიკო-ფლამენგო | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 23:00 | 794 | პალმეირასი-ატლეტიკო მგ | 1.37 | 3.70 | 9.00 | 1.00 | 1.18 | 2.62 |
| 23:00 | 796 | გრემიო-ბოტაფოგო | 1.80 | 3.25 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.79 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:20 | 795 | კორიტიბა-ინტერნასიონალი | 2.10 | 3.25 | 3.20 | 1.27 | 1.26 | 1.61 |
| 01:20 | 797 | სანტოსი-ატლეტიკო პრ | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 01:20 | 798 | ვასკო და გამა-ფიგეირენსე | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | ურუგვაი. კლაუსურა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 801 | ხერონ-ლარგო | 1.35 | 4.00 | 8.30 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 23:00 | 804 | პენიაროლი-ტაკუარემბო | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 799 | ბელა ვისტა-ხუვენტუდი | 1.35 | 4.00 | 8.30 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 22:30 | 800 | ფენიქსი-უონდერერსი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:30 | 802 | დანუბიო-რასინგი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 16:10 | 803 | ლივერპული-რამპლა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:30 | 1182 | რივერ პლეიტი-ვილა ესპანიოლა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:30 | 1183 | ნასიონალი-დეფენსორი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1185 | ჰაკენი-ხელსინგბორგი(შვე) | 1.25 | 5.50 | 6.50 | 1.01 | 1.04 | 2.97 |
| 18:00 | 1189 | ტენერიფე-სარაგოსა(ესპ) | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 17:00 | 1190 | უიმბლდონი-ბურნემუთი(ინგ) | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 17:30 | 1194 | ვოლვერჰემპტონი-საუთჰემპტონი(ინგ) | 1.22 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.10 |
| 18:00 | 1195 | კრიუ-ლიდსი(ინგ) | 1.70 | 3.10 | 4.90 | 1.09 | 1.26 | 1.89 |
| 18:00 | 1196 | კარდიფი-ჩარლტონი(ინგ) | 2.70 | 2.80 | 2.55 | 1.37 | 1.31 | 1.33 |
| 16:00 | 1198 | ზარაგოზა-ტენერიფე(ინგ) | 2.15 | 2.90 | 3.25 | 1.23 | 1.29 | 1.53 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1187 | ლიტექსი-ჩერნო მორე(ბულ) | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 17:00 | 1188 | მინიორი-ლევსკი(ბულ) | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 16:00 | 1191 | ოტელული-კლუჟი(რუმ) | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 1192 | დინამო ბუქარესტი-გლორია(რუმ) | 1.20 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.37 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 1193 | ბრაშოვი-ვასლუი(რუმ) | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| | | ისლანდია. თასი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1184 | რეიკიავიკი-გრინდავიკი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | ჰოკი. NHL | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1199 | ტამპა ბეი-რეინჯერსი | 2.50 | 4.10 | 2.10 | 1.55 | 1.14 | 1.38 |
| 22:30 | 1214 | ოტავა-პიტსბურგი | 2.55 | 4.10 | 2.10 | 1.57 | 1.15 | 1.38 |
| 20:00 | 1217 | ტამპა ბეი-რეინჯერსი(ტოტ) 5.5 | 1.90 | 1.90 | | | | |
| 22:30 | 1218 | ოტავა-პიტსბურგი(ტოტ) 5.5 | 1.90 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1219 | ტამპა ბეი-1.5-რეინჯერსი1.5 | 1.50 | 2.60 | | | | |
| 22:30 | 1220 | ოტავა-1.5-პიტსბურგი1.5 | 1.40 | 2.80 | | | | |
| 20:00 | 1235 | ტამპა ბეი- რეინჯერსი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 22:30 | 1236 | ოტავა-პიტსბურგი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1215 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 2.10 | 4.10 | 2.45 | 1.38 | 1.13 | 1.53 |
| 22:30 | 1216 | პიტსბურგი-ოტავა | 2.10 | 4.10 | 2.50 | 1.38 | 1.14 | 1.55 |
| | | ჰოკი. შვედეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 861 | ფერიესტადი-მოდო | 2.00 | 4.10 | 2.60 | 1.34 | 1.13 | 1.59 |
| 18:00 | 862 | სოდერტელიე-ლულეო | 1.80 | 4.10 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.76 |
| 18:00 | 863 | ტიმრო-როგლე | 1.55 | 4.50 | 4.00 | 1.15 | 1.11 | 2.11 |
| 20:30 | 865 | ბრინესი-ლინჩეპინგი | 2.40 | 4.20 | 2.10 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| | | ჰოკი. ფინეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 881 | იუვასკულა-ჰამეენლინა | 1.60 | 4.40 | 3.80 | 1.17 | 1.12 | 2.03 |
| 18:00 | 882 | კარპატი-ესპოო | 1.60 | 4.20 | 4.00 | 1.15 | 1.14 | 2.04 |
| 18:00 | 883 | ლუკო-პელიკანსი | 1.70 | 4.20 | 3.50 | 1.21 | 1.14 | 1.90 |
| 18:00 | 884 | ხიპკ-ილვესი | 2.20 | 4.10 | 2.40 | 1.43 | 1.14 | 1.51 |
| 18:00 | 885 | ტაპარა-იოკერიტი | 2.40 | 4.10 | 2.20 | 1.51 | 1.14 | 1.43 |
| | | ჰოკი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1144 | კარლოვი ვარი-ბრნო | 2.10 | 4.00 | 2.55 | 1.37 | 1.15 | 1.55 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 1145 | ვიტკოვიცე-სპარტა | 2.20 | 4.00 | 2.40 | 1.41 | 1.14 | 1.50 |
| 19:00 | 1146 | ზლინი-პლზენი | 1.60 | 4.00 | 4.10 | 1.14 | 1.15 | 2.02 |
| 19:00 | 1147 | ლიტვინოვი-პარდუბიცე | 2.00 | 4.00 | 2.70 | 1.33 | 1.14 | 1.61 |
| | | ჰოკი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 1148 | მიკულაში-ტრენჩინი | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 1149 | სლოვანი 20-ნიტრა | 9.00 | 6.00 | 1.15 | 3.59 | 1.01 | 1.00 |
| 19:00 | 1150 | კოშიცე-ზვოლენი | 1.20 | 6.30 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 19:00 | 1151 | პოპრადი-სლოვანი | 3.20 | 4.00 | 1.80 | 1.77 | 1.15 | 1.24 |
| 19:00 | 1152 | ბისტრიცა-მარტინი | 2.30 | 4.00 | 2.25 | 1.46 | 1.13 | 1.44 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 931 | ტერამო-აველინო | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:15 | 932 | ბენეტონი-სიენა | 2.80 | 12.00 | 1.35 | 2.27 | 1.00 | 1.21 |
| 20:15 | 933 | ფერარა-კასერტა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 20:15 | 934 | კანტუ-მილანი | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 20:15 | 935 | ბოლონია-როზეტო | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 20:15 | 936 | რომა-ნაპოლი | 1.10 | 12.00 | 6.20 | 1.00 | 1.00 | 4.08 |
| 20:15 | 937 | მონტეგრანარო-ბიელა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 938 | ტერამო-არმანი | 2.10 | 12.00 | 1.55 | 1.78 | 1.00 | 1.37 |
| 20:15 | 939 | კანტუ-ორლანდინა | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 943 | გრანადა-ბრეოგანი | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 22:00 | 946 | უნიკახა-რეალი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 940 | ფუენლაბრადა-მურსია | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| 14:30 | 941 | ბარსელონა-ხუვენტუდი | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 14:30 | 942 | სარაგოსა-ვალენსია | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 14:30 | 944 | ესტუდიანტესი-ბილბაო | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 945 | მანრესა-კახასოლი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 14:30 | 947 | მენორკა-ტაუ | 3.20 | 12.00 | 1.30 | 2.52 | 1.00 | 1.17 |
| | | კალათბურთი. გერმანია | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 31 | ერტლანდი-ეზენი | 1.12 | 12.00 | 5.60 | 1.02 | 1.00 | 3.81 |
| 20:30 | 998 | დიუსელდორფი-ულმი | 1.50 | 12.00 | 2.50 | 1.33 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 999 | ბრაუნშვაიგი-გეტინგენი | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |
| 21:30 | 1000 | ნორდლინგენი-ტუბინგენი | 1.55 | 12.00 | 2.35 | 1.37 | 1.00 | 1.96 |
| 22:00 | 1001 | ოლდენბურგი-კიოლნი | 1.30 | 12.00 | 3.40 | 1.17 | 1.00 | 2.64 |
| 22:00 | 1002 | ტრიერი-პადერბორნი | 1.85 | 12.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.64 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 996 | ალბა ბერლინი-ბონი | 1.25 | 12.00 | 3.60 | 1.13 | 1.00 | 2.76 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 32 | ბამბერგი-ლუდვიგსბურგი | 1.15 | 12.00 | 5.30 | 1.04 | 1.00 | 3.67 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1084 | ჰამარბი(შვედ)-გრანიტასი(ლიტ) | 1.03 | 18.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 7.19 |
| 18:00 | 1085 | ჰამარბი-გრანიტასი(ტოტ) 58.5 | 1.80 | 1.55 | | | | |
| 18:00 | 1086 | ჰამარბი(-9.5)-გრანიტასი(9.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 18:00 | 1087 | ჰამარბი-გრანიტასი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 18:10 | 1088 | დრამენი(ნორ)-ბარსელონა(ესპ) | 18.00 | 20.00 | 1.01 | 9.47 | 1.00 | 1.00 |
| 18:10 | 1089 | დრამენი-ბარსელონა(ტოტ) 59.5 | 1.80 | 1.60 | | | | |
| 18:10 | 1090 | დრამენი(9.5)-ბარსელონა(-9.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 18:10 | 1091 | დრამენი-ბარსელონა(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 18:30 | 1092 | ბოსნა(ბოსნია)-ლუკასი(საბერძ) | 1.01 | 20.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 19:45 | 1096 | კოპერი(სლოვ)-ჩეხოვსკიე მედვედი(რუს) | 2.00 | 8.00 | 2.00 | 1.60 | 1.00 | 1.60 |
| 19:45 | 1097 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი(ტოტ) 55.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:45 | 1098 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:45 | 1100 | კროაცია(ხორ)-ლოვენი(გერ) | 1.30 | 10.00 | 4.20 | 1.15 | 1.00 | 2.95 |
| 19:45 | 1101 | კროაცია-ლოვენი(ტოტ) 56.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:45 | 1102 | კროაცია-ლოვენი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1104 | ამიციტია(შვეიც)-ბრეგენცი(ავს) | 1.50 | 10.00 | 3.00 | 1.30 | 1.00 | 2.30 |
| 17:30 | 1105 | ამიციტია-ბრეგენცი(ტოტ) 57.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:30 | 1106 | ამიციტია(-2.5)-ბრეგენცი(2.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:30 | 1107 | ამიციტია-ბრეგენცი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 17:50 | 1108 | სვენდბორგი(დან)-სიუდად რეალი(ესპ) | 6.50 | 11.00 | 1.15 | 4.08 | 1.00 | 1.04 |
| 17:50 | 1109 | სვენდბორგი-სიუდად რეალი(ტოტ) 60.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:50 | 1110 | სვენდბორგი(-4.5)-სიუდად რეალი(4.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:50 | 1111 | სვენდბორგი-სიუდად რეალი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 1112 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) | 1.60 | 8.50 | 2.50 | 1.34 | 1.00 | 1.93 |
| 19:00 | 1113 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) 57.5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 1114 | შამბერი(-1.5)-ცელიე(1.5) | 1.90 | 1.70 | | | | |
| 19:00 | 1115 | შამბერი-ცელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:15 | 1116 | ვესპრემი(უნგ)-ფლენსბურგი(გერ) | 1.60 | 9.50 | 2.50 | 1.36 | 1.00 | 1.97 |
| 19:15 | 1117 | ვესპრემი-ფლენსბურგი(ტოტ) 57.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1118 | ვესპრემი(-1.5)-ფლენსბურგი(1.5) | 1.80 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1119 | ვესპრემი-ფლენსბურგი(წყვილი/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1120 | ადემარი(ესპ)-მონპელიე(საფრ) | 1.15 | 11.00 | 6.50 | 1.04 | 1.00 | 4.08 |
| 20:00 | 1121 | ადემარი-მონპელიე(ტოტ) 62.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1122 | ადემარი(-5.5)-მონპელიე(5.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1123 | ადემარი-მონპელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1136 | ვისლა(პოლ)-ხეკესი(უკრ) | 3.50 | 10.00 | 1.35 | 2.59 | 1.00 | 1.18 |
| 21:00 | 1137 | ვისლა-ხეკესი(ტოტ) 53.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1138 | ვისლა(3.5)-ხეკესი(-3.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 21:00 | 1139 | ვისლა-ხეკესი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1140 | პიკი(სეგ)-ზაპოროჟიე(უკრ) | 1.90 | 9.00 | 2.10 | 1.56 | 1.00 | 1.70 |
| 20:00 | 1141 | პიკი-ზაპოროჟიე(ტოტ) 56.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1142 | პიკი(-1.5)-ზაპოროჟიე(1.5) | 2.00 | 1.60 | | | | |
| 20:00 | 1143 | პიკი-ზაპოროჟიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1153 | შვარცი-კრემსი | 2.70 | 8.00 | 1.60 | 2.01 | 1.00 | 1.33 |
| 21:00 | 1154 | ტიროლი-ვესტვიენი | 1.25 | 10.00 | 4.40 | 1.11 | 1.00 | 3.05 |
| 21:30 | 1155 | ფივერსი-ალპლა | 1.70 | 8.00 | 2.45 | 1.40 | 1.00 | 1.87 |
| 22:15 | 1156 | ლეობენი-ლინცი | 1.80 | 9.00 | 2.20 | 1.50 | 1.00 | 1.76 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1157 | ლემგო-მაგდებურგი | 1.30 | 10.00 | 3.90 | 1.15 | 1.00 | 2.80 |
| 17:00 | 1158 | ნორდჰორნი-ესენი | 1.05 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 17:00 | 1159 | მინდენი-შტრალზუნდი | 1.25 | 11.00 | 4.30 | 1.12 | 1.00 | 3.09 |
| 21:00 | 1160 | გუმერსბახი-მელსუნგენი | 1.15 | 10.00 | 6.20 | 1.03 | 1.00 | 3.82 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:45 | 1038 | კილი-ჰამბურგი | 1.25 | 9.00 | 4.70 | 1.09 | 1.00 | 3.08 |
| 19:00 | 1041 | ფუქსე ბერლინი-გიოპინგენი | 1.80 | 8.40 | 2.25 | 1.48 | 1.00 | 1.77 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 1161 | ვალადოლიდი-ალმერია | 1.05 | 12.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.73 |
| | | ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1056 | ორხუსი-ააბ | 2.20 | 8.00 | 1.85 | 1.72 | 1.00 | 1.50 |
| 18:10 | 1059 | ნორდსიელანდი-ბიერინგბრო | 5.60 | 9.00 | 1.20 | 3.45 | 1.00 | 1.05 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპ ლიგა(რომელ ტაიმში მეტი გოლი) | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1203 | ჰამარბი-გრანიტასი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 18:00 | 1204 | დრამენი-ბარსელონა | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1205 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1206 | კროაცია-ლოვენი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1207 | ამიციტია-ბრეგენცი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 17:50 | 1208 | სვენდბორგი-სიუდად რეალი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:00 | 1209 | შამბერი-ცელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:15 | 1210 | ვესპრემი-ფლენსბურგი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1211 | ადემარი-მონპელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 21:00 | 1212 | ვისლა-ხეკესი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1213 | პიკი-ზაპოროჟიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | რაგბი საფრანგეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 1171 | ბრივი-მონ დე მარსანი | 1.17 | 25.00 | 4.40 | 1.11 | 1.00 | 3.74 |
| 14:30 | 1173 | ბიარიცი-მონპელიე | 1.12 | 25.00 | 5.20 | 1.07 | 1.00 | 4.30 |
| 14:30 | 1175 | პერპინიანი-ტულონი | 1.20 | 22.00 | 4.20 | 1.13 | 1.00 | 3.52 |
| 14:30 | 1177 | სტად ფრანსე-მონტობანი | 1.04 | 30.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 6.31 |
| 16:30 | 1179 | ბურგუანი-კლერმონი | 2.10 | 18.00 | 1.60 | 1.88 | 1.00 | 1.46 |
| 20:30 | 1181 | დაქსი-ბაიონა | 1.60 | 18.00 | 2.10 | 1.46 | 1.00 | 1.88 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

# ახალგაზრდული პაუზა დასრულდა

## დღეს კაცური ჩემპიონატი გრძელდება



**დღეს** განახლდება საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში, რომელიც რამდენიმე კვირით იყო შეჩერებული. ამ პაუზის მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ბევრი მორაგბე პოლონეთში, ქალაქ სოპოტში გამართულ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდა და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩემპიონატი შეეჩერებინა.

უმაღლესი ლიგის გათამაშება ძალიან საინტერესო შეხვედრებით განახლდება. მათგან „ყოჩებისა" და „ლოკომოტივის" მატჩი უნდა გამოვარჩიოთ.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ლოკომოტივი" შესვენებისას კიდევ უფრო გაძლიერდა და წელს ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატებადაც განიხილება.

უქმად არც „ყოჩები" მსხდარან. პირველი წრის თამაშების აშკარა ჩაგდების შემდეგ გუნდი რამდენიმე მოთამაშით გაძლიერდა და უკვე თამამად აცხადებენ, რომ ამ სეზონში შარშან მოპოვებული თასისა და ჩემპიონობის შენარჩუნებას გეგმავენ.

ნიკო ჭავჭავაძის გუნდმა თავისი ამბიცია შეიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა, როდესაც ერთი ამოსუნთქვით აჯობა ყველა მეტოქეს და პირველი ადგილი დაიკავა. ერთი სიტყვით, შაბათს 16 საათზე „სინათლის" სტადიონზე რაგბის ქომაგს მაგარი ჯახი ელის.

ამ თამაშამდე ცოტა ხნით ადრე გაიმართება კიდევ ერთი საინტერესო მატჩი იმავე „სინათლის" სტადიონზე 14 საათზე „ლელო" და „აკადემია" ითამაშებენ. ორივე გუნდი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს საპლეიოფო ოთეხულში შესვლაზე.

ზემოთ ნახსენები ორი მატჩის გარდა ხვალ კიდევ ორი თამაშია დაგეგმილი. ერთს „შევარდენის" სტადიონი უმასპინძლებს — „დინამო" — „უნივერსიტეტი". მეოთხე შეხვედრა კი ქუთაისში გაიმართება: „აია" — „არმაზი".

**შაბათი, 4 ოქტომბერი**
**14.00 სთ. სინათლე**
**აკადემია — ლელო**
**16.00 სთ. სინათლე**
**ყოჩები — ლოკომოტივი**
**16.00 სთ. შევარდენი**
**დინამო — უნივერსიტეტი**
**16.00 სთ. ქუთაისი**
**აია — არმაზი**

## ჩოგბურთი



# ანა ტატიშვილმა ტროას მეოთხედი აიღო

**18 წლის** ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ამერიკის ქალაქ ტროაში მიმდინარე 50 ათასდოლარიან ტურნირზე უკვე მეორე მატჩი მოიგო. ტატიშვილმა ტროას ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ძირითად ბადეში გააღწია. იქ კი ან ამ პირველ წრეში მეშვიდე ნომრად განთესილი უკრაინელი ნუჟანსკა 6:2 3:6 6:2 დაამარცხა, ამის მერე კი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულს, სლოვენიელ პეტრა რამპრეს 6:1 7:6 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა.

მეოთხედფინალში ტატიშვილის მეტოქე ხორვატი ანა სავიჩი იქნება, ვინც მანამდე ტურნირის მეორე ნომერი რუსი ოლგა პუჩკოვი 6:0 7:6 დაამარცხა.

**ნიკა კოპაძე**

## ჭადრაკი

# ჯავახიშვილი ისევ გაყაიმდა

**ქართველმა** მოჭადრაკემ ლელა ჯავახიშვილმა ბოსნიაში, ქალაქ ბანია-ლუკაში მიმდინარე ტურნირზე ოთხი ტურის მერე 2 ქულა დააგროვა. მან ყველა შეხვედრა ყაიმით დაასრულა. ლელა ტურნირზე ერთადერთი ქალი მონაწილეა.

ჯავახიშვილი მე-4 ტურში შავებით ბართლომეი ჰებერლას დაუზავდა. მისი მეტოქე, პოლონელი დიდოსტატი, სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა.

ქართველი თავისი 2 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს სერბ ილინჩიჩთან ერთად. სატურნირო ცხრილს კი ინდოელი გოპალი უდგას სათავეში, რომელმაც აქამდე 3,5 ქულას მოუყარა თავი.



მე-5 ტურში ლელა ჯავახიშვილი თეთრი ფიგურებით ლიდერ გოპალს შეხვდება.

**ნიკა კოპაძე**

# პატარებში ცალკე, დიდებში ერთად

**დღეს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთკვირიანი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი — „იჯის თასი — ოქროს დედოფალი" დაიწყება. ფესტივალზე სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეებს შორის მოეწყობა ტურნირები. მასპინძლებთან ერთად ამერიკელი, გერმანელი და ყაზახი მოჭადრაკეებიც ითამაშებენ. დიდი შანსია სტუმრებს შეუერთდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი მოჭადრაკეებიც.

ფესტივალზე სულ შვიდი ტურნირი ჩატარდება, 8, 10, 12-წლამდელ გოგონებსა და ბიჭებს შორის ცალ-ცალკე და 16-წლამდელ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის ერთად. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია სპეციალური პრიზი „ოქროს დედოფალი". ასევე ჩემპიონ-პრიზიორებს სიგელებთან ერთად ფულადი ჯილდოებიც გადაეცემათ. დასაჩუქრდებიან წარმატებული მოჭადრაკეების მწვრთნელებიც.

„ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ამ ტურნირის მასპინძლობა. კარგი იქნებოდა, უფრო მეტი სტუმარი ჩამოსულიყო. ბავშვები და ახალგაზრდები ასეთი სახის შეჯიბრებებში ფასდაუდებელ გამოცდილებას იძენენ. 16-წლამდელ მოჭადრაკეებისთვის კი მშვენიერი მოსამზადებელი ეტაპი იქნება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. სასიხარულოა, რომ ტურნირმა მცირე კომერციული ინტერესიც შეიძინა. საპრიზო ფონდი 3600 ლარს შეადგენს" — განაცხადა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ.

**ზურაბ მიგრიაული**

## მძლეოსნობა

# ვიქტორ სანეევის დაბადების დღე ბრიანჯაომდეც ვერ შეივსო...

**გუშინ** ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართველ სპორტსმენად აღიარებულ ვიქტორ სანეევის სახელობის პრიზის გათამაშება გაიმართა სამმაგ ხტომაში. შეჯიბრებაში როგორც კაცები, ასევე ქალებიც მონაწილეობდნენ.

„სანეევის პრიზის" მისაღებად საქართველოს 4 რეგიონის (ახმეტა, ქუთაისი, მარტვილი, თბილისი) მძლეოსნები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. პირველ ადგილზე გასული მძლეოსნები 500-500 ლარით დაჯილდოვდნენ, მეორეადგილოსნებს 400 ლარი ერგოთ, ხოლო მესამეზე გასულებს — 300 ლარი.

კაცებს შორის გაიმარჯვა ბოლესლავ სხირტლაძემ (თბილისი). იგი 14 მეტრსა და 82 სანტიმეტრზე გადახტა.

ახმეტელი ლაშა ღულელაური მეორეზე გავიდა — 14.48, ვახტანგ ჭინჭელაშვილი (ქუთაისი) კი მესამეზე — 13.88.

ქალთა შეჯიბრებაში სულ ორი მონაწილე იყო. ამათში გაიმარჯვა ლიკა დვალიშვილმა (თბილისი) — 12.08. მან პირადი რეკორდი ნახევარი მეტრით გააუმჯობესა. მეორე ადგილზე, ცხადია, ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) გავიდა, რომელიც 11.87 მეტრზე გადახტა.

ტურნირის დასრულების შემდეგ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ მდინარაძეს გავესაუბრეთ...




— როგორც უკვე იცით, ეს ტურნირი გამოჩენილ ქართველ მძლეოსან ვიქტორ სანეევს მივუძღვენით. ამ შეჯიბრებას საფუძველი ოთხი წლის წინ ჩაეყარა. ტურნირი თავისი ფორმატით საერთაშორისოა, მაგრამ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო სხვა ქვეყნებიდან მძლეოსნები ვერ ჩამოვიდნენ. დღეს ვიქტორ სანეევის დაბადების დღეა. მას ჩვენ, რა თქმა უნდა, იუბილეს და ტურნირის ჩატარებას ტელეფონით მივულოცავთ. ისიც სათქმელია, რომ ეს შეჯიბრება სანეევის საკადრისი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ გამოჩნდა რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი და ესეც საქმეა. მაგალითად, ლიკა დვალიშვილი, რომელიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ნადეჟდა დვალიშვილ-ხრიკინას შვილიშვილია, საკმაოდ შედეგიანად გამოვიდა და თავისი რეკორდიც გააუმჯობესა.

**ზურაბ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი ფავორიტი ისევ დეტროიტია

**კარს მომდგარი ნჰლ-ის 91-ე რეგულარული ჩემპიონატის წინ ვაგრძელებთ გუნდებში მომხდარი ცვლილებებისა და მათი წლევანდელი ამბიციების შესახებ საუბარს. დღეს დასავლეთ კონფერენციას მიმოვიხილავთ, რომელიც წლეულს არნახულად თანაბარია. ცხადია, პლეი ოფის საგზურებისთვის ცხარე ომი გაჩაღდება, რადგანაც საუკეთესო რვაში მოხვედრის პრეტენზია ერთი-ორი გუნდის გარდა ყველას აქვს**



მარიან ჰოსა

## ცენტრალური დივიზიონი

### დეტროიტ რედ უინგზი

მოქმედი ჩემპიონი დამდეგ სეზონსაც უმთავრესი ფავორიტის რანგში ხვდება. გუნდმა არათუ შეძლო საჩემპიონო შემადგენლობის ფაქტორივად სრულად შენარჩუნება (რაც საგადასახადო ჭერის პირობებში თითქოსდა შეუძლებლად მოჩანდა), არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა გასულ ზაფხულს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე მყოფი ყველაზე სახელიანი ვარსკვლავით — მიჩიგანელებმა მარიან ჰოსა დაიმატეს და ისედაც ზემძლავრი შეტევის ხაზი კიდევ უფრო გააძლიერეს.

გუნდის ხელმძღვანელობის ერთადერთი საფიქრალი მხოლოდ მოტივაციის ფაქტორია — არსებობს საფრთხე, რომ ჰოკეისტები ძველებურად აღარ იქნებიან მოგებაზე დაგეშილნი. თუმც მაიკ ბებკოკი ის კაცი არ არის, ასეთი შეცდომები გაეპაროს, რის გამოც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ „წითელფრთიანებს“ წლეულს დუბლის გაკეთების სერიოზული შანსი ექნებათ.

### ჩიკაგო ბლექ ჰოქზი

უკანახაზელ ბრაიან კემპბელისა და მეკარე კრისტობალ იუეს სახით „ქორებმა“ სერიოზული შევსება მიიღეს. ხოლო ნიკოლაი ხაბიბულინისა და რობერტ ლანგის გაშვებით მაღალანაზღაურებადი ვეტერანები მოიშორეს თავიდან და აქცენტი საბოლოოდ ახალგაზრდებზე გააკეთეს. ასე რომ, ჭაპანი ახლა ახლად არჩეულმა კაპიტანმა ჯონატან ტაუესმა და შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედა პატრიკ კეინმა უნდა გასწიონ.

ბევრი „ჩიკაგოს“ უკვე წლეულს უბევებს პლეი ოფში ადგილს, მაგრამ ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ გუნდი საამისოდ ჯერაც მოუმწიფებელია და ძალიან გაუჭირდება ზემძლიერ დასავლეთ კონფერენციაში საუკეთესოთა შორის მოხვედრა.

### კოლუმბუს ბლუ ჯექეთსი

ორი წლის წინ გუნდში კენ ჰიჩკოკის მოსვლის შემდეგ „ჟაკეტები“ ალმავლობის გზაზე დგანან და თანდათან წელში სწორდებიან. მართალია, ზაფხულში გუნდი სერიოზულად არ გაძლიერებულა, მაგრამ მთლად უქმადაც არ მჯდარა და უკანა ხაზს მიხედა.

ამის მიუხედავად, მაინც ძნელად წარმოსადგენია, რომ „კოლუმბუსი“ სერიოზულად წაეპოტინოს პლეი ოფის საგზურს — ბევრის აზრით, გუნდს აქამდე კიდევ ორისამი წელი უკლია.

### ნეშვილ პრედატორსი

წინა წლებისგან განსხვავებით, „ნეშვილი“ წლეულს ძალიან პასიური იყო, მეორეს მხრივ კი გუნდს ბევრი არავინ დაუკარგავს, თუ ალექსანდრ რადულოვს არ ჩავთვლით, რომელიც რუსეთში ფულს გაეკიდა.

„ნეშვილი“ ამ სეზონში გუნდიგამოცანა იქნება, რომლისგანაც არავინ იცის, რას უნდა ელოდოს. „მტაცებლებს“ შარშანაც აუტსაიდერის სტატუსი მიაკრეს, ბარი ტროცის კრებული კი პლეი ოფში გავიდა და იქაც ნამდვილი ომი გაუმართა მომავალ ჩემპიონ „დეტროიტს“. ვინ იცის, ეგებ ტენესელებმა წლეულსაც გააკვირვონ ნჰლ-ი.

### სენტ ლუის ბლიუზი

„ბლიუზმენები“ დივიზიონისა და მთლიანად კონფერენციის ერთ-ერთი გამოკვეთილი აუტსაიდერები იქნებიან. გუნდს ზაფხულში საერთოდ არავინ დაუმატებია, რაც იმას ნიშნავს, რომ შარშანდელზე უკეთესი შედეგის მოლოდინი ვერ ექნება.

## ჩრდილო-დასავლური დივიზიონი

### კალგარი ფლეიმზი

გლენ სატერმა ამ ზაფხულს სცადა გუნდის გადასხვაფერება და ორი არცთუ ურიგო თავდასხმელი დაიმატა მაიკ კამალერისა და ტოდ ბერტუცის სახით. სხვა საკითხია, თუ როგორ შეეწყობიან ისინი გუნდს, უფრო მეტად კი დესპოტური მეთოდების მქონე დამრიგებელ მაიკ კინენს.

ისე კი, „ალებს“ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ და დივიზიონის მოგების უმთავრესი პრეტენდენტებიც არიან, თუმც თუ კინენს ჩვეული ხუშტურები დაეწყო, არც ის არის გამორიცხული, გუნდმა სეზონი პირწმინდად ჩააგდოს.

### კოლორადო ევალანში

„კოლორადოს“ პროგრამა-მაქსიმუმი პლეი ოფში მოხვედრა იქნება, თუმც ეს გუნდს მაგრად გაუჭირდება. უმთავრეს თავის ტკივილს კარის დარაჯთა დუეტი წარმოადგენს — ენდრიუ რეიკროფტი და პეტერ ბუდაი განსაკუთრებული საიმედოებით ვერ დაიკვეხნიან. საკითხავია ისიც, რამდენად გაამართლებს მთავარ მწვრთნელად დანიშნული ტონი გრანატო — ეს კაცი დენვერელებს ლოკაუტამდეც თავკაცობდა და მაშინდელი ზევარსვკლავური შემადგენლობით მაინც ჩაფლავდა, ახლა კი „ზვავების“ რიგებში გაცილებით ნაკლები მაღალი დონის მოთამაშეა.

გუნდის უმთავრესი იმედი კი ლეგენდარული კაპიტანი ჯო საკიკია, რომელმაც ჰოკეიდან წასვლა გადაიფიქრა და ყინულს ისევ დაუბრუნდა. ხოლო თუ ჯოს არაფერი დაემართა და ტრავმებს გადაურჩა, მაშინ „კოლორადოს“ ნამდვილად შეეძლება პლეი ოფში გასასვლელად ბრძოლა.

### ედმონტონ ოილერსი

„ედმონტონმა“ შარშანვე გააკეთა აქცენტი თავის ახალგაზრდა და ნიჭიერ ჰოკეისტებზე და უკვე წლეულს ელის შედეგს — ორწლიანი შესვენების შემდეგ პლეი ოფში დაბრუნებას. გუნდი საკმაოდ ხეირიანად არის დაკომპლექტებული და ტრავმებს თუ გადაურჩა, ეგებ უწიოს კიდეც მიზანს.

### მინესოტა ვაილდსი

„მინეოსტამ“ ზაფხულში მრავალწლიანი ლიდერები — ბრაიან როლსტონი და პავოლ დემიტრა — დაკარგა. გაქცევაზე უჭირავს თვალი გუნდის სახედ მიჩნეულ მარიან გაბორიკსაც.

მართალია, „ველურებმა“ შევსებაც მიიღეს, მაგრამ მოსულთაგან პირველი კალიბრის ვარსკვლავი არავინაა, ზოგიერთს კი საუკეთესო წლები უკვე მოტოვებული აქვს. თუმც ძალიან ცბიერი და ლიგის ალბათ საუკეთესო სტრატეგ ჟაკ ლემერის ხელში „მინესოტა“ წლეულსაც ყველასთვის სახიფათო მეტოქედ დარჩება.

### ვანკუვერ კენექსი

„ვანკუვერის“ ერთადერთი იმედი რობერტო ლუონგოა — მხოლოდ მისი სასწაულებრივი თამაშის შემთხვევაში თუ მოახერხებს ეს გუნდი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას. ეს „კენექსის“ ხელძღვანელებსაც კარგად ესმით, ამიტომ ყოველგვარი ტრადიცია დაარღვიეს და მეკარეს პირველად უბოძეს კაპიტნობა.

თუმც „კენექსის“ შეტევა იმდენად უსუსურად გამოიყურება, განსაკუთრებით კაპიტან მარკუს ნესლუნდის წასვლის შემდეგ, რომ ძნელია გუნდის პერსპექტივებზე საუბარი.

## წყნაროკეანური დივიზიონი

### ანაჰაიმ დაქსი

„ანაჰაიმი“ ამ ზაფხულს გენერალურ მენეჯერ ბრაიან ბურკის მიერ შარშან დაშვებული შეცდომების გამოსწორებით იყო დაკავებული. ერთი წლის წინ ტოდ ბერტუცციში და მეტიუ შნაიდერში დაბანდებული მილიონები გუნდს ყელში ძვალივით გაეჩხირა და ამიტომ ორივეს თავიდან მოშორება მოუწია, რათა სხვა ვარსკვლავები შეენარჩუნებინა.

თუმც ყველაფერი არც ისე ცუდადაა — კრის პრონგერისა და სკოტ ნიდერმაიერის დარი დამცველების პატრონი გუნდი პლეი ოფს მიღმა არც ერთ ვარიანტში არ დარჩება, მაგრამ „იხვებს“ შეტევაში უსერიოზულესი პრობლემები აქვთ, რაც მათ თავს არაერთხელ, თან ძალიან მწარედ, გაახსენებს.

### დალას სტარზი

ბევრი „დალასში“ კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტს ხედავს. ტეხასელებმა შარშანდელ პლეი ოფში ნაჩვენები თამაშით ბევრის გული მოიგეს და საკუთარ სიძლიერეშიც დაარწმუნეს. გუნდს სერიოზული შევსება არ მიუღია, მხოლოდ შონ ეივერი დაიმატა და, აქედან გამომდინარე, შეიძლება იმის თქმა, რომ „ვარსკვლავები“ ბევრისთვის ძალიან უხერხულ, შეიძლება საძულველ მეტოქედაც იქცნენ.

### ლოს ანჯელეს კინგზი

„ლოს ანჯელესი“ მომდევნო დრაფტზე პირველი არჩევანის მოგების უმთავრესი პრეტენდენტია — ანუ სასწაული იქნება, თუ „მეფეები“ ბოლო ადგილს ასცდებიან. კალიფორნიულ გუნდში შენების პროცესი ახალი დაწყებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კიდევ რამდენიმე წელს ვერ დაისახავენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სატურნირო მიზნებს.

### ფინიქს კოიოტსი

ოლი იოკინენის სახით „კოიოტებმა“ დიდი ძალა დაიმატეს, რამაც ერთი რიგითი გუნდი პლეი ოფში მოხვედრის სერიოზულ კანდიდატად აქცია. თუმც ფინელის გამოჩენა არაფრის გარანტია არ არის — აუცილებელია კიპერმა ილია ბრიზგალოვმა შარშანდელივით მაღალ დონეზე ითამაშოს, გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებმა კი პროგრესი გააგრძელონ. თუ ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, მაშინ „ფინიქსს“ მართლაც შეეძლება 2002 წლის შემდეგ პირველად დააჭაშნიკოს პლეი ოფის გემო.

### სან ხოსე შარქსი

მხოლოდ შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ „სან ხოსე“ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ხოლო ზაფხულში გამოცდილი რობ ბლეიკისა და დენ ბოილის დამატებით გუნდმა აქამდე სუსტ წერტილად მიჩნეულ დაცვასაც მიხედა.

ერთადერთი საორჭოფო საკითხად მწვრთნელის კანდიდატურა მოჩანს — ტოდ მაკლელანს ნჰლში აქამდე არასოდეს უმუშავია მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე, კალიფორნიაში კი ის „დეტროიტიდან“ მივიდა, სადაც ბებკოკის თანაშემწე იყო. ასე რომ, საინტერესოა, შეძლებს თუ არა მაკლელანი ვარსკვლავებთან დამოუკიდებლად მუშაობას და აიძულებს თუ არა მათ იმ სტილით თამაშს, რომელიც თავად სურს.



ჯო საკიკი

**ქახა ლომაშვილი**

შანხაის მასტერსი. შანხაი. ჩინეთი. 29 სექტემბერი — 4 ოქტომბერი

# დღე სენსაციური და დღე უელსური


მარკ უილიამსი

სნუკერისტთა 2008-09 წლების სეზონის მეორე სარეიტინგო ტურნირის, შანხაის მასტერსის მესამე სათამაშო დღე მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა — დამარცხდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები პიტერ ებდონი და გრემ დოტი, სასტიკად შერცხვა კიდევ ერთი ექს-ჩემპიონი, რეიტინგის მესამე ნომერი შონ მერფი, წააგო ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტმა ალისტერ კარტერმა და, რაც ყველაზე სამწუხარო იყო ტურნირის ორგანიზატორებისთვის, შეჯიბრი მასპინძლების გარეშე დარჩა და თუ ლიან ვენბოს მარცხი არავის გაკვირვებია, დინ ჯუნხუმ ჩინელებს ნამდვილად რომ იმედები გაუცრუა.

ყველაზე სენსაციური შედეგი ორი ინგლისელის, ენდი ჰიკსის და მერფის შეხვედრაში აღინიშნა. ჰიკსმა, ვისაც რეიტინგის 56-ე პოზიცია უკავია, შანხაის შეჯიბრი მეორე საკვალიფიკაციო წრიდან დაიწყო და ძირითად ბადეში მოხვედრილმა, შანს არ დაუტოვა ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეულ მერფის, 5:1 იმარჯვა და მეხუთე პარტია ლამაზი, 127-ქულიანი ბრეიკით აიღო.

ჯუნხუმ ვერაფერი მოუხერხა ინგლისელ დეივ ჰეროლდს, ვისაც 41 წლის ასაკში მეორე ახალგაზრდობა დაეწყო. მთელი შეხვედრის მანძილზე ჰეროლდს თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია და საბოლოო ჯამში 5:3 დაამარცხა მასპინძლების კერპი.

ალისტერ კარტერი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, უელსელ მარკ უილიამსთან დამარცხდა. შარშან ამ დროს უილიამსი საშინლად თამაშობდა და ერთი პირობა ისიც კი თქვა, სეზონი რომ მორჩება აქტიურ კარიერას დავასრულებო, მაგრამ დარჩა და როგორც ჩანს, ძველებურ ფორმასაც იბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, ბოლო მსოფლიო პირველობის ფინალისტს უელსელმა შანსი არ დაუტოვა და 5:2 სძლია.

წარმოუდგენელი ამბავი შეემთხვა გრემ დოტს. სქოთი ექს-ჩემპიონი ისედაც ველარ ახერხებს ძველებურად თამაშს და ამჯერად კი საერთოდ ვერ შეძლო მაგიდასთან მისვლა, რადგანაც წინა დღეს, ფეხბურთის თამაშისას, ხელი მოიტეხა და ინგლისელი ჯეიმი კოუპი მეორე წრეში უბრძოლველად გაატარა.

კიდევ ერთი ექს-ჩემპიონი, სნუკერის ინგლისელი ტაქტიკოსი პიტერ ებდონი 3:5 დამარცხდა თავის თანამემამულე ბილ ბინგჰემთან და ფავორიტებიდან კი მხოლოდ ორმა იმარჯვა — შოტლანდიელმა სტივ მაგუაერმა და უელსელმა მარკო ფუმ. მაგუაერს ინგლისელმა ბარი ჰოუკინსმა გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია, თუმც სტივმა შეძლო ნერვების მოთოკვა და 5:3 მოიგო, ფუმ კი 0:2 ჩამორჩენის შემდეგ შემოუტრიალა თამაში ინგლისელ ენტონი ჰემილტონს და 5:2 დაამარცხა მეტოქე.

ფუს გამარჯვება ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა ჩინური პუბლიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფუ ჰონკონგს წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ მას ჩინელები განსაკუთრებით ქომაგობენ. მით უმეტეს, ჯუნხუს კვალად ლიან ვენბოც დამარცხდა უელსელ რაიან დეისთან, თანაც 0:5 და მასპინძლებს საქომაგოდ ფული დარჩათ.

მთლად ასე ტოტალურად სენსაციური არა, მაგრამ ტურნირის მეოთხე დღეც საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა.

პირველ რიგში, უელსელი რაიან დეის მიერ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსის ძლევა უნდა გამოვყოთ. თუმც ისიც სათქმელია, რომ დეი საკმაოდ პროგრესირებადი სნუკერისტია და ვეღც არ იყოს, შანხაიში ის, როგორც ჩანს, თავს მეტად კომფორტულად გრძნობს — შარშან ფინალში იყო, სადაც თანამემამულე დომინიკ დეილთან დამარცხდა და ახლა კი, უკვე მეოთხედფინალშია.

არადა, ჰიგინსს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, 134-ქულიანი ბრეიკითაც კი გამოირჩა, მაგრამ მთლიანობაში დეიმ, საკმაოდ კომფორტულად, 5:2 მოუგო. მიუხედავად ამისა, შარშანდელი მიღწევის გამეორება რაიანს ალბათ გაუჭირდება, რადგანაც მის გზაზე, ბადის ქვედა ნახევარში, სულ ტოპ-მოთამაშეები დარჩნენ — მეოთხედფინალში დეი მაგუაერს ხვდება, ხოლო ამ სქოთსაც თუ მოუგებს, ნახევარფინალში რონი ოსალივანსა და მარკ უილიამსს შორის საუკეთესოზე გავა.

გავაგრძელოთ სენსაციების თემა და კიდევ ერთი უელსელის, რიკი უოლდენის გამარჯვება გამოვყოთ. კვალიფიკაციიდან წამოსული უოლდენი 1:4-ს აგებდა ავსტრალიელ ნილ რობერტსონთან, რომელმაც თითქოს გამოიღვიძა და კვლავაც ძველებურად დაიწყო თამაში, მაგრამ უელსელმა ზედიზედ 4 ფრეიმი მოიგო, აქედან სამი მშვენიერი, 75, 66 და 89-ქულიანი ბრეიკებით და მეოთხედფინალს უწია, სადაც მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს, ინგლისელ სუპერვეტერან სტივ დევისს შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ 50 წელს გადაცილებულმა დევისმა თავის სამეოთხედფინალო მეტოქეზე არანაკლები ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და ჯუნხუს გამამწარებელ ჰეროლდს ასევე 1:4 ამოუქაჩა.

დევისსა და უოლდენს შორის გამარჯვებული ნახევარფინალში ინგლისელ მარკ სელბისა და ფუს შორის საუკეთესოზე გავა. სელბი-ფუს წყვილი მეოთხედფინალურ ეტაპზე, ალბათ, ყველაზე ლოგიკურია. ზოგადად, სელბი შანხაიში ყველაზე სრულყოფილად თამაშობს და მან თანამემამულესა და სეხნია მარკ კინგს არანაირი შანსი არ დაუტოვა — 5:0.

საკმაოდ იოლად, 5:2 იმარჯვა ფუმაც, რომელმაც მერფის მძლეველი ჰიკსი დაჯაბნა.

ბადის ზედა ნახევარში, სწორედ მარკსა და მარკოს შორის გამარჯვებული უნდა მივიჩნიოთ ფინალში გასვლის კანდიდატად, ხოლო თუ რა მოხდება ქვედა ნახევარში, ძნელი სათქმელია. ქაღალდზე ფავორიტი ინგლისელი ოსალივანია, ვინც მიჯრით, უკვე მე-12 სარეიტინგო მატჩი მოიგო (თანამემამულე ჯო პერისთან 5:3), მაგრამ რონის თამაში შანხაიში იდეალური ნამდვილად არ არის, თანაც ის, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უკმაყოფილოა ჩინური პუბლიკით და ძნელი სათქმელია, ასე, რბილად რომ ვთქვათ, აჭრილ ხასიათზე მყოფი, სადამდე შეძლებს წასვლას. მით უმეტეს, რომ მისი სამეოთხედფინალო მეტოქე მარკ უილიამსი მშვენიერ ფორმაშია და მთლიანობაშიც, მეორე წელია, შანხაის მატსერსს, რაღაც უელსური ელფერი დაკრავს (ალბათ, ჩინური და უელსური დრაკონები თუ ენათესავებიან ერთმანეთს და ეს ფაქტორი მოქმედებს) — შარშან დეილი-დეის ფინალი მივიღეთ და წლეულს მეოთხედფინალში ერთბაშად სამი უელსელი გავიდა (უოლდენი, დეი, უილიამსი), ასეთი რამ კი სარეიტინგო ტურნირებზე, კარგა ხანია, არ მომხდარა.

უილიამსმა მეორე წრეში 5:2 მოუგო ინგლისელ ჯეიმი კოუპს და ამ უკანასკნელს მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკით გამოწვეული სიხარული ჩაუშხამა.

ნუ დავივიწყებთ სტივ მაგუაერსაც. ამ სქოთმა ჰოუკინსის შემდეგ მეორე ინგლისელს, ბილ ბინგჰემსაც იდენტური ანგარიშით, 5:3 სძლია და ისეთი პირის უჩანს, ტიტულზე უარის მთქმელი არ უნდა იყოს.


სტივ მაგუაერი




ხუან მარტინ დელ პოტრო

**კაცები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 869 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო** (5, არგენტინა) — დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) 6:1 7:5; **რიშარ გასკე** (4, საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (12, გერმანია) 6:3 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:3 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (9, ჩეხეთი) — ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) 6:0 6:4

**კაცები**
მეცი. საფრანგეთი. ჰარდი
საპრიზო 370 000 ევრო

**მეორე წრე**

**რადეკ შტეფანეკი** (7, ჩეხეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:7 6:1 7:6; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:4 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (4, საფრანგეთი) — რომენ ჟუანი (საფრანგეთი) 6,3 6:3; **ადრიენ მარანინო** (საფრანგეთი) — რიკ დი ვოსტი (სამხრეთ აფრიკა) 6:4 7:5; **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:3 7:6

**ქალები**
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი
საპრიზო 650 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ნადია პეტროვა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:4 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 6:4; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 6:4; **დინარა საფინა** (3, რუსეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:1 7:6; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:2 6:0

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი** (1, დანია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:1; **იარმილა გაიდოშოვა** (ავსტრალია) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი 7:5 7:5; **კაია კანეპი** (5, ესტონეთი) — ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) 6:2 6:4; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (8, კანადა) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 7:5 6:3

**ქალები**
ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**მაგდალენა რიბარიკოვა** (5, სლოვაკეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:1 6:2; **საბინ ლისიცკი** (4, გერმანია) — ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) 3:6 7:5 7:6; **სორენა კირსტეა** (3, რუმინეთი) — მარია ლაშერდე ბრიტუ (პორტუგალია) 6:2 7:6; **შუაი პენი** (1, ჩინეთი) — მონიკა ნიკულესკუ (6, რუმინეთი) 6:7 6:2 6:4


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოტე ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნარობაშვილი, მიხეილ ქორქოტაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მაგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge